

# ქლიერი საქართველო


ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის

## საარჩევნო გეგმა

# 9

### ილიას გზა

სხუდი ვეხსია



## **ჩაგომ ილიას გზა?**

ილია ქავჭავაძე არის საქართველოს ისტორიაში ფიგურა, რომლის აზრები და სახელმწიფოებრივი ხედვა საუკუნის შემდეგაც თანამედროვეობის შესატყვისი და უაღრესად აქტუალურია. ილია არის საზოგადო მოღვაწე, ვისი თვალსაწიერიც სწვდება ყველაფერს, რასაც სახელმწიფოს დაფუძნებისა და მშენებლობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

ილია არის არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და ეროვნულ-სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის იდეური მებრძოლი, არამედ ქართული სკოლებისა და პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, რამაც საქართველო აშკარა რუსიფიკაციას გადაარჩინა; ილია, თანამოაზრებთან ერთად, არის პირველი საფინანსო ინსტიტუტის - საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი საქართველოში; ილია არის თანასწორობის იდეის მქადაგებელი და სასამართლო სისტემის საძირკვლის ჩამყრელი და თავადაც მოსამართლე.

ილიას აზრი და ქმედება სწვდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს - განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, თვითმმართველობას, თანასწორობის იდეას, ქალთა უფლებებს, სამოქალაქო აქტივიზმს. ილიამ დაგვიტოვა ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ფორმულა - „მამული, ენა, სარწმუნოება“ და, ამავდროულად, ილიას თაობამ შემოიტანა საქართველოში მოდერნული, ევროპული იდეები და განსაზღვრა დამოუკიდებელი საქართველოს სამომავლო გეზი. დღეს ჩვენ კვლავ ილიას გზას ვადგავართ და ილიას იდეებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას ვესწრაფვით.

## **ჩაგომ „მარშალის გეგმა“?**

საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა. მოსახლეობა შეუქცევადად ღატაკდება, ათასობით ჩვენი თანამოქალაქე ოჯახებით ტოვებს ქვეყანას და უცხოეთში მიდის საცხოვრებლად. მმართველი ძალის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ სრულად შეაჩერა ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ, სუსტ, დაუცველ, უპერსპექტივო ქვეყნად აქცია. ხელისუფლების ცვლილებების შემდეგ, საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება სისტემური რეფორმები და ინოვაციური გადაწყვეტილებები სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის.

ჩვენს სამოქმედო პროგრამას „მარშალის გეგმა“ ჰქვია. გასულ საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის რეკონსტრუქციის გეგმამ („მარშალის გეგმა“) ევროპის ქვეყნები გადაარჩინა სიღატაკეს, შიმშილს და არნახული ეკონომიკური ზრდა მოიტანა; გადაარჩინა საბჭოთა კავშირის აგრესიული გავლენის გავრცელებისაგან და განაპირობა ევროპული ერთიანობის პროცესის დაწყება, რამაც შექმნა საფუძველი ევროპული ქვეყნების ხანგრძლივი სტაბილური და დემოკრატიული განვითარებისთვის.

ჩვენი „მარშალის გეგმაც“ სწორედ მსგავსი გამოწვევების გადაჭრას ისახავს მიზნად - საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რუსეთის გავლენის გაძლიერებისაგან დაცვას და სწრაფ ევროინტეგრაციას მშვიდობისთვის, დემოკრატიისთვის, კეთილდღეობისთვის. „მარშალის გეგმა“ არის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, მაღალი პენსიები, ღირსეული სამუშაო ადგილები, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფი განვითარება, როგორცაა ანაკლიის ღრმანყოფილების პორტი და ანაკლიის ქალაქი, ქუთაისის ლოჯისტიკური ჰაბი და ბევრი სხვა ინოვაციური პროექტი. „მარშალის გეგმა“ არის მილიარდობით ინვესტიცია ქართულ ეკონომიკაში, რაც ქვეყანას რეგიონის ლიდერად აქცევს.

## **მიმახივთვ თანამოქალაქეებს**

საქართველო მწვავე კრიზისის წინაშე დგას. ჩვენ ვკარგავთ სახელმწიფოს. ვკარგავთ უკეთესი ცხოვრების პერსპექტივას. უმუშევრობა, მაღალი ფასები, ინფლაცია ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურობას გაუსაძლისს ხდის. ჩვენ ვკარგავთ ახალგაზრდებს, ისინი ტოვებენ საქართველოს და უკეთესი შესაძლებლობებისთვის უცხოეთში მიდიან. ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ ჩვენ ვკარგავთ ქვეყანას, რადგან გვყავს ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს და არა საქართველოს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება, სამწუხაროდ, საქართველოზე წინ მუდმივად რუსეთის ინტერესს აყენებს. მმართველმა ძალამ ე.წ. რუსული კანონის მიღებით ზურგი აქცია ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს და საქართველოს ევროპული ინტეგრაციისკენ გზა ჩაუხერგა. ბიძინა ივანიშვილი მოსკოვში გამდიდრდა, ის რუსი ოლიგარქია და მისთვის რუსეთი ბუნებრივი სივრცეა. მისმა მთავრობამ კარი გაუხსნა რუსების მასობრივ შემოდინებას საქართველოში. ხელისუფლებამ „რუსული კანონის“ მისაღებად მშვიდობიანი აქციის მონაწილეები დაარბია, დააჭარიმა, დაიჭირა. მოძალადე ჯგუფები სასტიკად უსწორდებოდნენ აქტივისტებს. „ქართული ოცნების“ პოლიტიკა დიდი ხანია არა ქართველი ხალხის, არამედ კრემლის ინტერესს ატარებს.

ჩვენ უნდა დავასრულოთ ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს! - ასევე, არ უნდა დავუშვათ იმ ლიდერების ხელისუფლებაში დაბრუნება, რომლებიც წარსულში უხეშად არღვევდნენ ჩვენი თანამოქალაქეების უფლებებს. 20 წელია საქართველოს მხოლოდ ორი პარტია მართავს; ორივემ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება და ხალხს იმედი გაუცრუა.

ახლა უკვე არსებობს რეალური ალტერნატივა! „ძლიერი საქართველო“ - „ლელოს“, „ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედნის“ და „მოქალაქეების“ ერთობა არის ახალი ძალა ახალგაზრდა, სუფთა წარსულის და პროფესიული გამოცდილების მქონე წარმატებული ლიდერებითა და გაბედული იდეებით, ძლიერი საქართველოს შესაქმნელად.

წარმოგიდგენთ „ძლიერი საქართველოს“ სამოქმედო გეგმას - „ილიას გზა“, რომელიც დაფუძნებულია ილია ჭავჭავაძის მარად თანამედროვე და აქტუალურ ხედვაზე, როგორ გამყარდეს ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი და მასზე აშენდეს ახალი, ძლიერი, თვითმყოფადი და წარმატებული საქართველო. ეს გეგმა დეტალურად აღწერს ჩვენს ვალდებულებებს, რასაც ვიღებთ ქართველი ხალხის წინაშე ყველა სფეროში - დასაქმება, ხელმისაწვდომი ფასები, ხარისხიანი ჯანდაცვა, მაღალი სტანდარტის ევროპული განათლება, ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და სხვა. ჩვენ უნდა შევქმნათ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული თანამედროვე სახელმწიფო ძლიერი საშუალო ფენით, რომელიც იქნება რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

უპირველეს ყოვლისა, ეს დოკუმენტი მოიცავს „ძლიერი საქართველოს“ სამ მთავარ დაპირებას:

## **ევროკავშირის ნევრობა და ევროპული მომავალი**

„ძლიერ საქართველოს“ აქვს დეტალური გეგმა, რომელიც საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას მოკლე დროში უზრუნველყოფს. ჩვენი გეგმით ევროკავშირის 9 რეკომენდაცია სწრაფად შესრულდება. საქართველო გახსნის და ეფექტურად განახორციელებს მოლაპარაკებებს ევროკავშირში განწევრიანების თაობაზე. საქართველო იქნება ევროკავშირის გაფართოების ტალღის ლიდერი ქვეყანა. ჩვენ ხელი მოვანერეთ პრეზიდენტის „ქართულ ქარტიას“, რომელიც სწორედ ამ მიზნისკენ მიმართულ მრავალპარტიულ შეთანხმებას წარმოადგენს. საქართველოს მოქალაქეები, მენარმეები, ემიგრანტები განწევრიანების პროცესშივე იგრძნობენ ევროკავშირის ხელშესახებ სიკეთეებს.

## **200 000 სამუშაო ადგილი და შრომის სამართლიანი ანაზღაურება**

„ქართული ოცნების“ პირობებში, საქართველოს 200 000-ით ნაკლები სამუშაო ადგილი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონოდა ნორმალური დასაქმების პოლიტიკის პირობებში. „ძლიერი საქართველო“ შექმნის 200 000 ახალ სამუშაო ადგილს ანაკლიის და სხვა მსგავსი მეგაპროექტების განხორციელებით, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაბლოკა. ჩვენ გპირდებით უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნას ევროპული ტიპის „მწვანე მშენებლობის“ სტანდარტებით; გპირდებით ანაზღაურებად სტაჟირებას ყველა კურსდამთავრებულისთვის, ვისაც ამის სურვილი ექნება.

ასევე, „ძლიერი საქართველო“ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პირველად დაადგენს სამართლიანი ანაზღაურების სტანდარტს. საარსებო მინიმუმის ახალი მოდელით გაანგარიშების შემდეგ, დადგინდება მინიმალური ხელფასის ოდენობა, რომელიც იქნება სამართლიანი ყველა დასაქმებულთან მიმართებაში. შრომის სამართლიანი ანაზღაურება არის ღირსეული ცხოვრების აუცილებელი წინაპირობა.

## **1000 ლარი პენსია**

„ძლიერი საქართველო“ გაზრდის მინიმალურ პენსიას 1000 ლარამდე და ყოველწლიურად დაარეგულირებს მას ინფლაციის შესაბამისად, რათა ჩვენი საზოგადოების ხანდაზმულმა წევრებმა ღირსეულად იცხოვრონ.

ვიმედოვნებთ, დროს დაუთმობთ, გაეცნობით „ძლიერი საქართველოს“ სამოქმედო გეგმას - „ილიას გზა“ და შემოგვიერთდებით ჩვენ და ათასობით სხვა თანამოქალაქეს გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც წინ გველოდება. პრორუსული ხელისუფლების გაშვება და მისი ჩანაცვლება ახალი, წესიერი და გონიერი ძალებით აუცილებელია ძლიერი, დაცული და წარმატებული საქართველოს ასაშენებლად!

**ეხთად ვიშხოთოთ ძღიეხი საქახთვედოსთვის!**

**მამუკა ხაზაჩაძე**

**ღევან ცუცქიჩიძე**

**ანა ღოღიძე**

**ადეკო ედისაშვილი**

## **„ძლიერი საქართველოს“ პრიორიტეტები**

### **პირობები#1**

#### **ევროკავშირის წევრობისა და ევროპული მომავლის უზრუნველყოფა**

„ძლიერ საქართველოს“ სჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ევროპაშია. „ქართული ოცნების“ მთავრობა ცდილობდა, დაებლოკა საქართველოს ევროპული გზა რუსი ემიგრანტების მასობრივი შემოდინებით, „რუსული კანონის“ მიღებით, ევროკავშირის სტანდარტების დარღვევით არჩევნებთან თუ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და კრემლისთვის ვეტოს უფლების მიცემით ყველაფერზე, დაწყებული ანაკლიის პროექტიდან ჩვენს საგარეო პოლიტიკამდე. ევროკომისიამ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ქმედებები არღვევს „ევროკავშირის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს“, ამორებს საქართველოს ევროკავშირის წევრობას. „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო ჩამორჩა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირში განწევრიანების გზაზე.

„ძლიერი საქართველოს“ უპირველესი პრიორიტეტია, დაასრულოს „ქართული ოცნების“ მოღალატეობრივი მორჩილება რუსეთის მიმართ და სწრაფად წაიყვანოს საქართველო ევროკავშირის წევრობისა და ევროპული მომავლისკენ. ევროპული არჩევანი ეროვნული არჩევანია!

„ძლიერ საქართველოს“ აქვს 9 - პუნქტიანი გეგმა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სწრაფად დააკმაყოფილებს ევროკომისიისგან დაწესებულ მოთხოვნებს, რათა საქართველომ ევროკავშირში განწევრიანების პროცესი დაიწყოს. ჩვენ გავაუქმებთ ე.წ. „რუსულ კანონს“, რომელიც გახდა ევროინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი.

ჩვენ განვახორციელებთ სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმას ევროპული სტანდარტების მიხედვით და პრეზიდენტის ქარტიის შესაბამისად, რომელსაც ოპოზიციურმა პარტიებმა მოვანერეთ ხელი. ჩვენ აღმოვფხვრით კორუფციას და მოხდება ჩვენი პოლიტიკური სისტემის დეოლიგარქიზაცია. ჩვენ მოვარგებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას ევროპულ მიზნებსა და ამოცანებს.

„ძლიერი საქართველო“ ასევე შეაჩერებს რუსების მასობრივ შემოდინებასა და კრემლის გავლენას ჩვენს ქვეყანაში, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ შეუწყო ხელი. „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა რუსი ემიგრანტების უკონტროლო შემოსვლა, რომლებმაც იყიდეს მიწები და უძრავი ქონება, გახსნეს ბიზნესები და გაზარდეს ფასები, ჩვენი ქალაქები გაივსო რუსებით და სამუშაო ადგილებზეც ბევრგან ჩაანაცვლეს ქართველები. ამ უკონტროლო ვითარებას დაასრულებს ჩვენ მიერ მომზადებული „საქართველოს დაცვის აქტი“, რომელიც:

**1. აღადგენს სავიზო ჰეგუდაციებს ხუსეთის მოქალაქეებისთვის; დაიცავს სამუშაო ადგილებს საქართველოს მოქალაქეებისთვის;**

**2. გადადგამს ნაბიჯებს ხუსეთის მზახი პოლიტიკური, თუ ეკონომიკური გავლენის აღსაკვეთად; გამოსცემს სათანადო აქტებს საქართველოს მოქალაქეების ინტეგრაციის და ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების დასაცავად; შეზღუდავს ხუსური „ხბილი ძაღის“ მოქმედებას საქართველოში;**

**3. განახორციელებს უკრაინაში ხუსეთის აგხესიის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ მიღებულ ზომებთან ქვეყნის პოლიტიკის სინქრონიზაციას.**

„ძლიერ საქართველოს“ სჯერა, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ნამდვილ ევროპულ ცხოვრებას, რაც ნიშნავს მეტ სამუშაო ადგილს, უკეთეს ხელფასს, მაღალ პენსიებს, თანამედროვე ჯანდაცვას, ძლიერ სკოლებს, სუფთა გარემოს, ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების გარანტირებულად დაცვას. „ძლიერ საქართველოს“ აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ მომავლისკენ წაიყვანს - სწრაფად, სტაბილურად და შეუქცევადად.

## **პირობიტი #2**

**200 000 სამუშაო ადგილის შექმნა; მინიმალური სამახტოდიანი ანაზღაურება დასაქმებულთათვის**

„ქართული ოცნების“ მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანას და ხალხს დაუკარგა სამუშაო ადგილები, რომელიც ძალიან გვჭირდება ეკონომიკური ზრდისა და ჩვენი ახალგაზრდებისთვის ღირსეული მომავლის უზრუნველსაყოფად. ბიძინა ივანიშვილი, სხვა მრავალ დაპირებასთან ერთად, გვპირდებოდა 100 ახალი ქარხნის ამუშავებას, თუმცა, არ შეასრულა და შედეგად თვალსაჩინოა ჩვენს გაღარიბებულ და ხალხისგან დაცლილ ქალაქებსა თუ სოფლებში. საქართველოს დღეს 200 000-ით ნაკლები სამუშაო ადგილი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონოდა, თუკი „ქართული ოცნება“ ჩვენი ტიპის ქვეყნების დასაქმების მაჩვენებელს მიაღწევდა.

„ძლიერი საქართველო“ აღმოფხვრის „ქართული ოცნების“ მიერ ხელიდან გაშვებული 200 000

სამუშაო ადგილის დანაკლისს. ჩვენ მიერ განვირეილი დეტალური გეგმით შევქმნიტ სამართლიანად ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ახალგაზრდებისთვის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს.

ჩვენ დავასრულებტ ანაკლიას და სხვა მეგაპროექტებს. ჩვენი დასაქმების გეგმის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის ანაკლიაში ღრმანყლოვანი პორტის სწრაფად მშენებლობა. ანაკლიის პორტი და ქალაქი ანაკლია შექმნის ათიათასობით ახალ სამუშაო ადგილს. „ქართული ოცნების“ მთავრობამ მიზანმიმართულად გააჩიანურა და შეაჩერა ეს პროექტი პუტინის მოთხოვნების და ივანიშვილის პირადი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ძლიერი საქართველო განაახლებს ანაკლიის პროექტს და ოთხი წლის განმავლობაში დაასრულებს მას.

ჩვენ უზრუნველყოფტ, რომ ანაკლიაში შექმნილ სამუშაო ადგილებზე, უმეტესწილად, საქართველოს მოქალაქეები დასაქმდნენ. ანაკლიის გარდა, „ძლიერი საქართველო“ წამოიწყებს და დაასრულებს სხვა დიდ ეკონომიკურ თუ შედარებით მცირე პროექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც შექმნის სამუშაო ადგილებს და ახალ შესაძლებლობებს ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, მათ შორის:

**ღოგისტიკური და ფინანსური ცენტრი ქუთაისში;  
თანამედროვე IT სკოლები ყველა ხეგიონში ( ხოგოხც, ეს გაკეთდა წადენტხიხაში).  
ახალი გუხისგური მიმახტურებების განვითახება ისეთ ხეგიონებში,  
ხოგოხიცაა - სვანეთი, ხევსუხეთი და თუშეთი.**

## **„მწვანე“, ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი სამშენებლო ტექნოლოგიები.**

ჩვენი მოქალაქეები მძიმედ ზარალდებიან იმით, რომ მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი კორუფციული გადაწყვეტილებებით, ამორტიზებული ტექნიკითა და სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამო ტექნოლოგიებით ხორციელდება. ჩვენ ვნახეთ კორუფციული გარიგებებისა და ცუდი მენეჯმენტის შედეგად დაუსრულებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი; შოვის ტრაგედიამ დაგვანახა ის მძიმე ფასი, რომელიც ჩვენმა ხალხმა გადაიხადა მორღვეული დაცვისა და პრევენციის სისტემების, განაშენიანების სტანდარტის არარსებობის და ხელისუფლების უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულების გამო. „ძლიერი საქართველო“ მეგაპროექტებს განახორციელებს ადამიანების ინტერესებსა და გარემოზე მორგებული, თანამედროვე, ევროპული „მწვანე“ სამშენებლო პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს გამჭვირვალე სატენდერო პირობებს და ქართული კომპანიების დახმარებას, რათა ისინი იყვნენ ეფექტიანი, დაიცვან გარემო და უზრუნველყონ ხალხის უსაფრთხოება.

## **ანაზღაურებადი სტაჟირება - პირველი სამსახური ყველა კურსდამთავრებულს**

ქართველ ახალგაზრდას ძალიან უჭირს დასაქმება. ამიტომაც, ბევრი მათგანი ქვეყანას ტოვებს.

„ძლიერი საქართველო“ შექმნის ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობას - „პირველ სამუშაო ადგილს“ უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულისთვის, ვისაც სურვილი ექნება. ახალგაზრდებს, რომლებმაც ბევრი ისწავლეს, უნდა მიეცეთ სამუშაო გამოცდილების და ახალი უნარების შექმნის შესაძლებლობა. სტაჟირება იქნება საჯაროსთან ერთად კერძო სექტორში და კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, შეიძინონ ღირებული პროფესიული უნარები და გამოცდილება მომავალი კარიერისთვის.

## **მინიმალური სამართლიანი ანაზღაურება დასაქმებულთათვის**

ადამიანები, რომლებიც შრომობენ, ადეკვატურ ხელფასს იმსახურებენ, რათა იცხოვრონ ღირსეულად. „ძლიერი საქართველო“ დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად დაადგენს ღირსეულ და სამართლიანი ანაზღაურების სტანდარტს, რაც იქნება გარანტია იმისა, რომ დასაქმებულებმა უზრუნველყონ თავიანთი ცხოვრებისეული საჭიროებები.

### **პიოხიგეცი #3**

**პენსიების გაზრდა 1000 ლარამდე და ყოველწლიური ზრდა ფასების მატების შესაბამისად**

„ძლიერი საქართველო“ ყველა პენსიონერისთვის ღირსეულ და სტაბილურ პენსიას უზრუნველყოფს. მინიმალურ პენსიას 1000 ლარამდე გაზრდით, განაკვეთს კი ყოველწლიურად დავარეგულირებთ ფასების მატების მიხედვით.

საქართველოში 830 000-ზე მეტი პენსიონერია. მათგან 98 000-ზე მეტი სოციალურ შემწეობაზეა დამოკიდებული.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ 12-წლიანი მმართველობის განმავლობაში ვერ უზრუნველყო პენსიონერების ადეკვატური მხარდაჭერა. 2013 წლიდან საქართველოში ფასების სწრაფი ზრდა ფიქსირდება, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, როდესაც ფასები ორნიშნა რიცხვით გაიზარდა. ფასები კიდევ უფრო სწრაფად იზრდება იმ საკვებსა და მედიკამენტებზე, რომლებიც პენსიონერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ უზრუნველყო ჩვენი პენსიონერების ღირსეული მხარდაჭერა.

„ქართულმა ოცნებამ“ ბოლო პერიოდში პენსიები გაზარდა - მხოლოდ მათთვის, ვინც სახელისუფლებო სტრუქტურებშია დასაქმებული (ძალოვანები, პარლამენტარები და ა.შ.). სხვა დანარჩენი კი გადარჩენისთვის იბრძვის. თუ პარლამენტარისთვის ან პოლიციელისთვის უფრო მაღალი პენსიაა გარანტირებული, ასე უნდა იყოს მასწავლებლისთვის, ქარხნის მუშისა თუ ფერმერისთვისაც.

„ძლიერი საქართველო“ გაზრდის პენსიას და ამას მოქალაქეებზე ორიენტირებული, რეალისტური ბიუჯეტის ფარგლებში გააკეთებს. პენსიის ზრდა სრულად დაფინანსდება, რის საშუალებასაც მოგვცემს „მარშალის გეგმით“ გარანტირებული მაღალი ეკონომიკური ზრდა, კორუფციის აღმოფხვრა, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტების შეკვეცა და აზარტული თამაშების ინდუსტრიის უფრო მეტად დაბეგვრა.

## მარშალის გეგმა

**ეკონომიკა/ დასაქმება/ სოფლის მეურნეობა/ გახემოს დაცვა/ გუჩიზში/ ჰევიონების განვითარება**

### ეკონომიკა

● „ქართული ოცნების“ მმართველობისას ქვეყანაში დაკარგულია 200 000 სამუშაო ადგილი. საქართველოს ზომის ეკონომიკის ქვეყანაში, თითო სამუშაო ადგილის შესაქმენლად საჭიროა 30 ათასი დოლარი. 6 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციით ძლიერი საქართველო ამ დეფიციტს შეავსებს. „ძლიერი საქართველო“ უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას თითოეული მოქალაქისთვის!

● დასრულდება ანაკლიის პორტის და ქალაქ ანაკლიის მშენებლობა; დაიწყება ინფრასტრუქტურული მეგაპროექტების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

● საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ჩამოყალიბდება საერთაშორისო საფონდო ბირჟა, რომელიც ბანკებისგან ალტერნატიული დაფინანსების წყაროს უზრუნველყოფს.

## „ძლიერი საქართველოს“ ეკონომიკური მიზნები – 2030 წელი

„ძლიერი საქართველოს“ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიზანია ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიღწევა და მისი ინკლუზიური ხასიათით მაქსიმალური სარგებლის მოტანა საზოგადოების ყველა წევრისთვის.

საქართველოს ხელისუფლებაში კოალიციური მთავრობის მოსვლისთანავე, პროდასავლური კოალიცია დაიწყებს განეწვევას მოლაპარაკებებს ევროკავშირთან, რაც „მარშალის გეგმით“ უზრუნველყოფს მინიმუმ 10%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევას; 4 წლის თავზე კი საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10 500 აშშ დოლარს მიაღწევს.

ხოლო 2030 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 12 500 აშშ დოლარზე მეტი უნდა შეადგინოს.

<b>მიზნები 2030 წლის ბოლოსთვის</b>			
	2023 (ფაქტი)	2028	2030
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	7200\$ (ფაქტი)	10 500\$	12 500\$
მშპ-ის ზრდა	7% (ფაქტი)	მინ. 10%	მინ. 10%

## **„მარშალის გეგმის“ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად აუცილებელი პირობები**

### **1: ბიზნესგაჩემოს გაუმჯობესება**

„ძლიერი საქართველოს“, „მარშალის გეგმის“ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის ძირეულად გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ უნდა შექმნას ბიზნესსაქმიანობისთვის და ზრდისთვის ხელშემწყობი პირობები. ბიზნესგაჩემოს გასაუმჯობესებლად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კერძო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდა, რეგულაციების შემცირება, გამარტივება და მაქსიმალური გამჭვირვალობის შექმნა და ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

### **2: შრომის ბაზრის განვითარება**

2021-22 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში 224 ათასი ადამიანი წავიდა. მათი უმრავლესობა შრომისუნარიანი და მაღალკვალიფიციური უნარების მქონეა. შედეგად, საქართველოს შრომის ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის ოდენობა შემცირდა, რაც ქვეყანას დიდ ზიანს აყენებს საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით.

შრომის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება განაპირობებს დასაქმებულთა მუდმივ განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. დღეს საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმებაზე. ეს გამოწვეულია უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტურობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს პროფესიული გადამზადების სისტემები.

სრულფასოვანი შრომის ბაზრის ხელშემწყობისათვის ახალი ხელისუფლება განათლების ფუნდამენტურ რეფორმას გაატარებს და მის ბაზრის მოთხოვნებთან მორგებას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, ორნიშნა ეკონომიკური ზრდით ქვეყანაში მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები შეიქმნება, რაც ჩვენი თანამოქალაქეების სამშობლოში დარჩენას და ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას გამოიწვევს.

### **3: ინოვაციების ხედულობა**

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ძლიერი საქართველოს“ მიზანია ინოვაციებზე ორიენტირება და ტრადიციულ კონკურენტულ უპირატესობებთან ერთად, ინტელექტუალური და მეწარმული კონკურენტულობის ზრდა.

საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ინოვაციების ნაკლებობა დაბალ პროდუქტიულობას და შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას იწვევს. ამის კარგი მაგალითია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, რომლის თითქმის ყველა ქვედარგში საქართველო საშუალო პროდუქტიულობით ჩამორჩება ბევრ ქვეყანას და ამის გამო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე.

სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია განათლების ფუნდამენტური რეფორმა, ახალგაზრდებში ინოვაციური აზროვნების წახალისება და მცირე ასაკიდანვე კოდირებისა და რობოტიკის სწავლება.

### **4: კაპიტალის ბაზრის განვითარება**

საქართველო გახდება რეგიონის ფინანსური ცენტრი. ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული განვითარებულ კაპიტალის ბაზართან, რომელიც დღეს საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს (2023 წლის ნოემბერში საქართველოს საფონდო ბირჟის საერთო ბრუნვამ 466 ლარი შეადგინა).

„მარშალის გეგმით“, საგადასახადო და სხვა სახის სტიმულირების გზით, გაჩნდებიან ინსტიტუციური ინვესტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ საფონდო ბირჟაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რაც წახალისებს ქართულ კომპანიებს, რომ მათ თავიანთი ფასიანი ქაღალდები განათავსონ საფონდო ბირჟაზე და მოიზიდონ კომპანიების განვითარებისთვის საჭირო კაპიტალი.

განვითარებული საფონდო ბირჟა იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და გახდება არა მხოლოდ ქართული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ემისიის საშუალება, არამედ მეზობელი ქვეყნების წარმატებული კომპანიების განთავსების ადგილიც.

კაპიტალის ბაზრის რეფორმით, საქართველო გახდება ფინანსური ცენტრი ძლიერი საფონდო ბირჟით, რაც ქვეყანაში გააჩენს გრძელვადიან საინვესტიციო ფულს და ახალ სამუშაო ადგილებს.

საქართველოს საფონდო ბირჟა იმუშავებს ლონდონის საფონდო ბირჟასთან პარტნიორობით.

### **5: ქმედითი ახბიგხაჟის დაფუძნება**

ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ინტერესების დაცვისთვის, ახალი ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი საქართველოში კერძო არბიტრაჟის დაფუძნებაა.

საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასთან არსებული პრობლემების ფონზე, მნიშვნელოვანია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთან თანამშრომლობით არბიტრაჟის შექმნა. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთან ამ ტიპის თანამშრომლობის მაგალითები უკვე არსებობს ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

## **მეგაპროექტები და ინფრასტრუქტურის განვითარება ანაკლიის პორტის მშენებლობა**

„ძლიერი საქართველოს“ „მარშალის გეგმის“ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საქართველოს ჩამოყალიბება რეგიონული ლოგისტიკური მიზიდულობის ცენტრად, რისი ფუნდამენტური კომპონენტიც ანაკლიის პორტის აშენებაა.

საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ერთადერთია, რომელსაც დღემდე არ აქვს ღრმანყოფილი პორტი. ღრმანყოფილ ნავსადგურს სხვა, სტანდარტული პორტებისგან წყლის სიღრმე განასხვავებს, რაც ასევე დიდი ზომისა და მძიმედ დატვირთული გემების მიღების შესაძლებლობას გულისხმობს.

ანაკლიის პორტის პროექტის გათვლების თანახმად, 2021 წლისთვის, როცა მშენებლობის პირველი ფაზა დასრულებული უნდა ყოფილიყო, პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნებოდა - გაცილებით მეტი, ვიდრე ფოთისა და ბათუმის პორტები - და შეეძლებოდა, პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის (ანუ დიდი საკონტეინერო) გემები მიეღო. ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის დავალებით მიღებულმა, სტრატეგიული თვალსაზრისით დანაშაულებრივმა და ეკონომიკის საზიანო, გადანყვეტილებებმა, პორტის მშენებლობა, სამწუხაროდ, გაურკვეველი ვადით შეაჩერა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ჩვენ იმედი გვაქვს, უსწრაფესად განვაახლებთ ანაკლიის პორტის და ქალაქ ანაკლიის მშენებლობას.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ შემუშავებული პორტის დიზაინის მიხედვით, ანაკლიის პორტი შეძლებს დანინაურდეს რეგიონში არსებულ კონკურენტებთან შედარებით, საუკეთესო საგზაო, სარკინიგზო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურითა და ინოვაციური აღჭურვილობით. პორტს ექნება საშუალება, მიიღოს 10 000 კონტეინერიანი (TEU) გემები. პირველი ფაზის განმავლობაში მოხდება 60 ჰა სახმელეთო ტერიტორიაზე საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა, რომელიც 900 000 კონტეინერსა და 1.5 მილიონ ტონა ტვირტს დაიტევს.

„მარშალის გეგმის“ თანახმად, ანაკლიის პორტსა და სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში 16 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების და იაპონური ინვესტიციებით სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების დანერგვა.

ანაკლიის პორტის გარდა, „ძლიერი საქართველო“ აპირებს სხვა მეგაპროექტების განხორციელებას:

- ქუთაისი - ლოგისტიკური და ფინანსური ჰაბი;
- თელავი - ღვინის მსოფლიო დედაქალაქი;
- ქართლი - აგრო და ბიონარმოების ცენტრი;
- სამცხე-ჯავახეთი - ისტორიული, ეთნოგრაფიული ტურიზმის ცენტრი;
- რაჭა-ლეჩხუმი - საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ცენტრი

მეგაპროექტების განხორციელების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდის ფონზე, ქვეყანაში შეიქმნება მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები.

## მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

- შეიქმნება 3-მილიარდიანი საგარანტიო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიანი და შეღავათიანი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერას;
- შეიქმნება 2-მილიარდიანი სპეციალური საინვესტიციო ფონდი სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის;
- შეიქმნება ინოვაციების სპეციალური საინვესტიციო ფონდი, სადაც მოზიდული იქნება სახსრები 1 მილიარდის ოდენობით და ინვესტირებას მოახდენს ახალ ტექნოლოგიებში.

## რეგიონული პროექტები და ინფრასტრუქტურის განვითარება

„მარშალის გეგმის“ თანახმად, ანაკლიის პორტსა და ქალაქ ანაკლიის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში 16 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების და იაპონური ინვესტიციებით სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება დაიწყება. სამეგრელოს მსგავსად, ჩვენი პროგრამით, რეგიონები გადაიქცევა მსხვილი ეკონომიკური დატვირთვის ცენტრებად:

**ქუთაისი - ლოგისტიკური და ფინანსური ჰაბი, სადაც დაფუძნდება საერთაშორისო საფონდო ბირჟა. აეროპორტის გარშემო კი მოეწყობა ძლიერი, საერთაშორისო ლოგისტიკური ცენტრი. განვითარდება სატვირთო გადაზიდვების ეფექტური სისტემა.**

**ბათუმი - საზღვაო ინდუსტრიისა და ტურიზმის ცენტრი, სადაც ქართული სანაოსნო შეიქმნება.**

**კახეთი - ტურიზმის 4 სეზონი. მსოფლიოში რეგისტრირებული 50 მლნ ღვინის ტურისტი წელიწადში 30 მლრდ დოლარს ხარჯავს. აქედან მხოლოდ 1%-ის მოზიდვით ღვინის ტურიზმიდან კახეთს 1 მილიარდი ლარის სარგებელი ექნება, რაც 10 000 ლარი დამატებითი შემოსავალი იქნება ყველა გლეხისთვის.**

**ქართლი - აგრო და ბიონარმოების ცენტრი. „ძლიერი საქართველოს“ ამოცანაა 1 მლრდ დოლარის პროდუქციის ექსპორტზე გატანა, სახელმწიფო კი ფინანსურ დახმარებას გაუწევს აგრო და ბიონარმოებას.**

**რაჭა - საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლა-კამპუსების ცენტრი. ენების, ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი საერთაშორისო სკოლების ინფრასტრუქტურების შექმნა.**

სამუშაო ძალის მობილობისთვის, ემიგრაციის შემცირებისთვის და ეკონომიკური ზრდის ტემპის გასაზრდელად სარკინიგზო-სახმელეთო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზაცია ყველა ძირითად ქალაქსა და სოფლებში, რომლის დროსაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მინიმალურ დროში მოახერხებს ქალაქში ჩასვლას და დაბრუნებას. ამ დროითი დანახარჯის მინიმალიზაცია მნიშვნელოვნად გაამარტივებს მოქალაქეების ცხოვრებას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

## სოფლის მეურნეობა

- ფერმერული მეურნეობების გამსხვილებით, მოქალაქეების რესურსების გაერთიანება და მათი შემოსავლის გაზრდა;
- ბუნებრივ რესურსებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სოფლის მეურნეობის იმპორტირებულ პროდუქციაზე დამოკიდებულების შემცირება და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა.

### კოოპერაციის განვითარება

საქართველო მცირემინიანი ქვეყანაა და ეს მიწები 700 ათასამდე ფერმერზეა გადანაწილებული. სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ძალიან დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. ამის მიზეზი კი გარდა მცირე მიწიანობისა, არის ცოდნის ნაკლებობა, არასწორი სელექცია, სოფლის მეურნეობის დაბალი პრეზენტაბელურობა და სხვა.

ამ მძიმე რეალობას გააუმჯობესებს კოოპერაციის გზით რესურსების გაერთიანება, რაც არა მარტო მიწების გაერთიანებას და შრომის/შედეგების გადანაწილებას გულისხმობს, არამედ საწარმოების კოოპერაციას, საექსპორტო ნედლეულის კოოპერაციის გზით საერთო ბრენდის ქვეშ გაყიდვას და სხვადასხვა საგადასახადო, იურიდიული თუ მენეჯერული საკითხების საერთო ძალისხმევით მოგვარებას. ამ მიმართულებით საქართველომ შეიძლება გაიზიაროს გერმანიის, ბელგიის და იაპონიის კოოპერაციული სისტემების მაგალითები, სადაც კოოპერატივებს თვისობრივად უფრო განსხვავებული იურიდიული სტატუსი აქვთ, ვიდრე ჩვეულებრივ კომპანიებს თუ სააქციო საზოგადოებებს.

გერმანიაში კოოპერაციული სისტემის განვითარება მე-19 საუკუნიდან დაიწყო, რაც გულისხმობდა არა მარტო მიწის გაერთიანებას და ამ პრინციპით მუშაობას, არამედ კოოპერატივის წევრების ხელთ არსებული ყველა მატერიალური თუ არამატერიალური აქტივების გაერთიანებას, მათ შორის საწარმოო დანადგარების, საბანკო-საკრედიტო რესურსების, ბაზარზე თავის წარმოჩინების თუ ექსპორტის მიმართულებით მუშაობის ნაწილში. ამით შეიქმნა ე.წ. მეორე დონის კოოპერატივები, რაც გულისხმობს იმას, რომ ხდებოდა უკვე პირველადი კოოპერატივების გაერთიანება და უფრო დიდი სტრუქტურული ერთეულის შექმნა. კოოპერაციის განვითარებამ გამოიწვია მთლიანი საწარმოო კოოპერაციული ჯაჭვის შექმნა - დაწყებული პირველადი ნედლეულის შექმნიდან, გაგრძელებული შემდგომში მისი გადამუშავებით, პრეზენტაბელური ფორმით ბაზარზე წარმოჩენით და შემდგომ რეალიზებით. მე-20 საუკუნის დასაწყისში დაახლოებით მსგავსი ისტორიით განვითარდა ბელგიის სოფლის მეურნეობის კოოპერაციული საქმიანობაც.

„ძლიერი საქართველო“ მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების გზაც კოოპერაციაზე გადის. ამისთვის აუცილებელია აღდგეს კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც 2019 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. ამ სააგენტოს ექნება ბერკეტი, რომ კონკრეტულ სოფლის მეურნეობის დარგებში, იქნება ეს მეცხოველეობა და რძის წარმოება, ხორცის წარმოება, განახორციელოს კონკრეტული და შედეგებზე ორიენტირებული პროგრამები, რომელიც წვრილი ფერმერების მეურნეობას გააფართოებს და კონკრეტული დარგების მიმართულებით მათ ექსპერტიზას გაზრდის. კოოპერაციამ ევროპულ ქვეყნებში - გერმანიაში და ბელგიაში - საკმაოდ გაზარდა ხარისხიანი სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოება, ასევე მოაგვარა მცირემინიანობის პრობლემა და ნებისმიერი ზომის მიწის ნაკვეთის მფლობელ ფერმერს ღირსეული შემოსავლის მიღების შესაძლებლობა გაუჩინა.

„ძლიერი საქართველო“ პირობას დებს, რომ კოოპერატივების განვითარება ყოველწლიურად 100 მილიონი ლარით დაფინანსდება. ეს თანხა მოხმარდება, როგორც პირველადი სოფლის მეურნეობის წარმოებას, ასევე მეორად კოოპერაციულ გაერთიანებებს, რაც გულისხმობს იაფ საბანკო რესურსებს, თანადაფინანსების და საგრანტო კომპონენტებს, ასევე სხვადასხვა ტიპის ტექნიკურ დახმარებებს.

### **სახელმწიფოს საკუთრებაში ახსებული ხესუხების მოქალაქეებისთვის გადაცემა**

საქართველოში არსებული მიწების თითქმის 40% სახელმწიფოს ეკუთნის, რაც სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის და დოვლათის შექმნისთვის წინააღმდეგობაა. ამავდროულად, ქვეყანაში არსებული ტყის რესურსი დაახლოებით 2.8 მილიონი ჰექტარია. ტყის რესურსების ოპტიმალური ათვისების და გამოყენების საუკეთესო გზა სწორედ კოოპერაციის განვითარებაა, რადგან სოფლის მოსახლეობა კოოპერატივის დაფუძნების და შემდგომ ოპერირების გზით მოახერხებს სოფლად არსებული ტყის თუ სხვა მიწის რესურსის ყველაზე ოპტიმალურ გამოყენებას, რაც თავის მხრივ დამატებით დოვლათს შექმნის.

კოოპერატივებს გადაეცემათ ტყე და მიწის რესურსები, ასევე ტბები, წყლის რესურსები და სხვა.

„ძლიერი საქართველო“ მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყის და სხვა რესურსების კოოპერატივებზე გადანაწილება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის მნიშვნელოვან სტიმულს შექმნის და თითოეულ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეს გაამდიდრებს.

### **იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება**

საქართველო სოფლის მეურნეობის ძირითად სექტორებში იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა. საქართველოში 165 მილიონი აშშ დოლარის ხორცი, 150 მილიონ დოლარამდე რძე და რძის პროდუქტები შემოდის. ამასთანავე, საქართველო რუსეთიდან 92 მლნ დოლარის ღირებულების ხორბალსა და ფქვილს ყიდულობს. ასეთ სტრატეგიულ დარგში ოკუპანტზე დამოკიდებულება უსაფრთხოების თვალსაზრისითაც პრობლემური საკითხია.

სოფლის მეურნეობის ამ დარგებში პროდუქტიულობის ზრდით, „ძლიერი- საქართველო“ ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. მაგალითად, ხორბლის პროდუქტიულობის ზრდით, რაც გულისხმობს ნაცვლად დღევანდელი 1 ჰა 1.7-2 ტონა მოსავლიანობისა, 1 ჰა 4.5-5 ტონა ხორბლის მოყვანას, საქართველოს რუსულ ხორბალზე დამოკიდებულება 90%-დან შემცირდება 40-50%-მდე.

უმძიმესი ვითარებაა რძისა და რძის პროდუქტების მიმართულებით. თუ საშუალო ქართული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ლაქტაციის მაჩვენებელი 3-3.5 ტონაა წლის განმავლობაში, სელექციის მართვით, საკვებდამამზადებელი ინდუსტრიის შექმნით, საძოვრების ოპტიმალური გამოყენებით, 4 წელიწადში საშუალო ქართული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის წველადობა წლიურად 7-8 ტონამდე გაიზდება. ეს შეამცირებს ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი დარგის იმპორტზე დამოკიდებულებას და გააქრობს რძის ფხვნილის საჭიროებას.

ასეთივე სტრატეგია შემუშავდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც, რომლებშიც ადგილობრივი წარმოების განვითარების პერსპექტივა არსებობს.

## ტურიზმი

**საქართველო - გუჩისგუდად მიმზიდველი ქვეყანა წლის ყველა სეზონზე, ხაც მოიცავს:**

- **გასტრონომიულ და ღვინის ტურიზმს;**  
საფესტივალო, სამთო-სათხილამურო და საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას;  
კულტურული, ისტორიული, შემეცნებითი, ასევე, სამედიცინო და ბალნეოლოგიური ტურიზმის ხელშეწყობას;
- **ყველა რეგიონში შესაბამისი სეგმენტის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას;**
- **შიდა, მცირე ავიაციის განვითარებას.**

### ტურიზმის განვითარების გეგმა

ტურიზმის გრძელვადიანი მდგრადი განვითარება 3 ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

გარემო, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები. პრიორიტეტული იქნება ინდუსტრიის განვითარება და ეკონომიკური დოვლათის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის, ავთენტურობის შენარჩუნების და გარემოს მოფრთხილების გათვალისწინებით.

#### სტრატეგიული მიზნები:

- ტურიზმის წილის ზრდა მშპ-ში;
- ტურისტული შემოსავლებისა და დანახარჯების ზრდა;
- ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- განმეორებითი და გრძელვადიანი ვიზიტების ზრდა;

#### პიოხიგეცუდი მიმახთულებები:

**ღია ცის პოლიტიკა:** ახალი საერთაშორისო ავიაკომპანიების შემოყვანა ბაზარზე, მეტი მიმართულებებისა და ბაზრების გახსნა პირდაპირი ფრენების მეშვეობით, თბილისის აეროპორტის რეგიონალურ საავიაციო ჰაბად ქცევა.

**ვიზალიბერალიზაცია:** მიზნობრივ ბაზრებთან სავიზო რეჟიმის გადახედვა, გამარტივება ან გაუქმება ტურისტებისთვის, არსებული e-ვიზა პლატფორმის გაუმჯობესება და საზღვრიდან უმიზეზოდ გაბრუნებული ვიზიტორების მინიმუმამდე დაყვანა.

**სამიზნე ბაზრების დივერსიფიკაცია:** რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება, არსებული ბაზრებიდან ტურისტული ნაკადის გაზრდა, ახალი სამიზნე ბაზრების იდენტიფიცირება და ინტენსიური მარკეტინგული კამპანიების მეშვეობით მაღალმხარჯვლიანი სეგმენტების მოზიდვა.

**ტურისტული პროდუქტების განვითარება:** საქართველოს ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, ქვეყანას გააჩნია მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები: კულტურული ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, გასტრონომიული და

ღვინის ტურიზმი, ეკოტურიზმი, MICE ტურიზმი (ფესტივალები, ღონისძიებები და საქმიანი ვიზიტები). ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიცირება და განვითარება რეგიონების მიხედვით, რეგიონალური კლასტერებისა და მარშრუტების იდენტიფიცირება და რესურსების მის გარშემო კონცენტრირება. პრიორიტეტული იქნება ქვეყნის უნიკალური და ავთენტური შეთავაზებების განვითარება.

**მომსახურების ხარისხი და განათლება:** ხარისხის ეროვნული სტანდარტის დანერგვა, ხარისხის წამახალისებელი სერტიფიკატის ინიცირება, პროფესიული განათლების გაუმჯობესება, უმაღლესი განათლების რეფორმა ტურიზმის სფეროში და საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილება, სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის დამატება სწავლების პროცესში, სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა.

**ტურისტული ინფრასტრუქტურა:** რეგიონალური ტურისტული კლასტერების გარშემო მცირე და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის იდენტიფიცირება და იმპლემენტაცია.

**ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტიციების წახალისება:** იდენტიფიცირებული რეგიონალური კლასტერების გარშემო საინვესტიციო პაკეტების შექმნა კონკრეტული საშეღავათო პირობებით.

**ახალი ტურისტული ბრენდი საქართველო SAQARTVELO:** ბრენდის შექმნა, ახალი მარკეტინგული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, ქვეყნის ცნობადობისა და კონკურენტულობის ზრდა გლობალურ ტურისტულ რუკაზე.

**დეცენტრალიზაცია:** რეგიონალური მართვის ორგანიზაციების (DMO) გაძლიერება და PPP მოდელით განვითარება, ტურისტული შემოსავლის ადგილობრივ ეკონომიკაში დატოვება და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება.

**ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა:** სოფლის მეურნეობის სექტორთან ერთად საერთაშორისო გამოცდილების დახმარებით ახალი პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

## **ტრანსპორტი და კომუნიკაცია**

- საქართველო იქნება აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო (ციფრულ) დერეფანს;
- საქართველო გახდება საჰაერო-სატვირთო გადაზიდვების ჰაბი; გავაძლიერებთ ეროვნულ სამგზავრო და სატვირთო ავიაგადაზიდვებს;
- ჩქაროსნული რკინიგზის განვითარება (ბაქო-ბათუმი; ერევანი-ბათუმი.)

## ახალი აბრეშუმის გზა - აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფანი

- საქართველო იქნება აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო დერეფანს;
- საქართველოში შეიქმნება მონაცემთა გაცვლის ცენტრები და განთავსდება წამყვანი საერთაშორისო IT კომპანიების სერვერები;
- განვითარებით ჩქაროსნულ რკინიგზას (ბაქო-ბათუმი, ერევანი-ბათუმი);
- საქართველო გახდება საჰაერო სატვირთო გადაზიდვების ჰაბი. გავაძლიერებთ ეროვნულ სამგზავრო და სატვირთო ავიაგადაზიდვებს.

## გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური უსაფრთხოება

- ბუნებრივი საფრთხეებითა და ადამიანის (ანთროპოგენური) მიერ გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება, პრევენცია და კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა გახდება.
- „მწვანე“ პოლიტიკის გატარება, ეკოსისტემების მკაცრი დაცვა სავალდებულო იქნება ყველა დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან, შესაძლებელი გახდება, საქართველო იქცეს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის მწარმოებელ ქვეყნად. საქართველოს ეკონომიკა განვითარდება მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრო - ამ სახელწოდებით ჩამოყალიბდება ცალკე უწყებად და ის რეალურად ჩადგება გარემოს, ჩვენი მოსახლეობისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის სამსახურში. საქართველოს დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ნარჩენების სწორი მართვა, წყლის, ნიადაგის, ჰაერის სისუფთავე და ხარისხის მკაცრი კონტროლი სწორედ ამ მიზნებს მოემსახურება.

## მიზანი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

**„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში“ - საქართველოს კონსტიტუცია**

ადამიანის ეკოლოგიური უფლებები კანონმდებლობითაა განმტკიცებული და ეს სახელმწიფოს მთელ რიგ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას აკისრებს. ამასთან, კლიმატის ცვლილების გლობალური პროცესები ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს. დღის წესრიგში დაჩქარებულად შემოდის ამ გამოწვევებთან გამკლავება: კლიმატისადმი მედეგი საზოგადოების აშენება, ხელისუფლებების მზადყოფნა - დაიცვან მოსახლეობის ჯანმრთელობა და სიცოცხლე; უზრუნველყონ ეკოლოგიური მდგრადობა, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის; ეფექტურად განახორციელონ ბუნებრივი საფრთხეებითა და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირების ღონისძიებები; დააწესონ მკაცრი რეგულაციები ჰაერის, წყლის, ნიადაგის, სამომხმარებლო და კვების პროდუქტების ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის; განსაკუთრებულად იზრუნონ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და მართვის პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდაზე.

**„ძღვირი საქართველოს“ 9 ძირითადი სამიზნე საკითხი:**

1. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების მართვის თანამედროვე მიდგომების დანერგვა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

● ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სრული და კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების დანერგვა.

● თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა, სათანადო კადრებითა და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. მოსახლეობის დაცვის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, უსაფრთხო ადგილზე განსახლების პროგრამების შემუშავება.

2. ეროვნულ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების პროგნოზირების, შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიისა და ღონისძიებათა გეგმის შემუშავებაში საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.

● გარემოს საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეროვნული დოკუმენტების შემუშავებაში.

● სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე მოსახლეობის სრული ინფორმირებულობა და მონაწილეობა, როგორც მონიტორინგის, ისე კონკრეტული ამოცანის შესრულების მიმართულებით.

● ოკუპირებული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შესწავლა და სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბება. თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

3. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა - ბუნებრივი რესურსების მკაცრი კონტროლი და რაციონალური გამოყენება. „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პირობებში, მომავალი თაობებისათვის სათანადო ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და განვითარება, როგორც როდენობრივად, ისე ხარისხობრივად. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა გარემოსდაცვით ღონისძიებებში.

● დაცული ტერიტორიების მოცულობის გაფართოება, დეგრადირებული ტყის აღდგენა, ზღვის, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების დაცვა და განვითარება.

● მთის ეკოსისტემების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნება.

● გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლა, მიწისა და ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება, აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

● სეზონური ტყის ხანძრების რისკების შემცირება, სწრაფი რეაგირების მექანიზმების დანერგვა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და პრევენციულ მოქმედებებში ჩართულობა.

● წყლის სააუზო მართვაზე გადასვლის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა.

● გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში, სათემო ინიციატივების მხარდაჭერა.

● ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა მთელ საქართველოში. სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, გარემოზე უარყოფითი გავლენის მინიმიზაციით, ახალი დამაბინძურებელი კერების გაჩენის პრევენცია, მკაცრი მონიტორინგი, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

● განახლებადი ენერჯის ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა.

● მდგრადობასა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინვესტიციების მხარდაჭერა.

#### **4. საქართველო, როგორც ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო პროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა**

- „მწვანე“ ნიადაგების კვლევა - ეკოლოგიურად უსაფრთხო ზონების აღწერა, მონაცემების შეგროვება.
- ბიოფერმერული მეურნეობების ხელშეწყობა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის განვითარება.
- სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის გაზრდისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო დამხმარე საშუალებების გამოყენების ხელშეწყობა.
- ევროპის ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

#### **5. გარემოზე ადამიანის მიერ გამოწვეული (ანთროპოგენური), უარყოფითი გავლენის შემცირება**

- მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გაცნობისა და სათანადო ნებართვის გაცემის პროცესის დაქვემდებარება ფართო საზოგადოებრივ მონიტორინგსა და სრულ გამჭვირვალობაზე.
- თბილისსა და სხვა ქალაქებში, ურბანული განვითარების დაგეგმვა ეკოლოგიური ბალანსის დაცვის უზრუნველყოფით.
- ჰაერის დამაბინძურებელი ფაქტორების შემცირება. ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის არეალის გაფართოება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა. უარყოფითი მონაცემების შემთხვევაში მოსახლეობის გაფრთხილება და რეკომენდაცია.
- ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტის გამოყენების წამახალისებელი ღონისძიებების გატარება;
- სანჯავის ხარისხის მკაცრი კონტროლი.
- ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება სამშენებლო დარგში.
- სანიტარიულ-ჰიგიენური მაღალი სტანდარტების დანერგვა და კონტროლი ღია და დახურულ სივრცეებში, ტურისტულ ზონებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.
- გარე ვაჭრობის დარეგულირება სანიტარიისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით, განსაკუთრებით საავტომობილო გზისპირებზე საკვები პროდუქტებით ვაჭრობის პირობებში.
- ხმაურის, როგორც მავნე ეკოლოგიური ფაქტორისა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

#### **6. შავი ზღვა, როგორც საზღვარი ევროკავშირთან**

- შავი ზღვის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების პროცესში, ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნება და განვითარება.
- საზღვაო და სანაპირო რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება და დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების გატარება. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობა შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის პროცესში. სამოქალაქო აქტივობების წახალისება.
- თანამშრომლობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ტრანსნაციონალურ კონფიგურაციაში, რომელიც ხელს შეუწყობს: კვლევითი და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებას; კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციას; ბუნების, ბიომრავალფეროვნებისა და მწვანე ინფრასტრუქტურის დაცვისა და შენარჩუნების გაძლიერებას; მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

**7. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროს, როგორც სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი უწყების გაძლიერება**

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთმანეთისგან გამიჯვნა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროს ცალკე უწყებად ჩამოყალიბება. შიდა სტრუქტურული რეფორმები თანამედროვე, გლობალურ გამოწვევებთან ეფექტური მუშაობის გასაძლიერებლად.
- მჭიდრო თანამშრომლობასამეცნიერო კვლევით უწყებებთან და უნივერსიტეტებთან, სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
- საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის, აღდგენა - შენარჩუნებისა და განვითარების მენეჯმენტში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ახალი ხედვის ჩამოყალიბება, გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის კეთილდღეობის გათვალისწინებით.

**8. კლიმატის ცვლილებებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა**

- კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა ფარგლებში საჭიროა განისაზღვროს საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობა.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვისა და განათლების სამინისტროების თანამშრომლობის საფუძველზე, საბავშვო ბალებში, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკოლოგიური განათლების პროგრამების დანერგვა ასაკობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

**9. საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაჩქარება და საზოგადოებრივი მონიტორინგი**

- საზოგადოებრივი მონიტორინგის ხელშეწყობა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის „ასოცირების შესახებ“ და „მდგრადი განვითარების მიზნების“ შეთანხმებებზე.
- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაახლოების დაჩქარება ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან.
- საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირის ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

**საგარეო პოლიტიკა**

- გრძელვადიანი მშვიდობის და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველო სწრაფად განეწინააღმდეგება ევროკავშირში. მშვიდობა განმტკიცდება უსაფრთხოების გარანტორთა მოდელის შექმნით და ნატოში განეწინააღმდეგებით. საქართველო გამოიყენებს იმ სიკეთებს, რომლებიც განეწინააღმდეგება არის ხელმისაწვდომი, მათ შორის: გამარტივებული გადარიცხვების სისტემა ემიგრანტებისთვის, მეტი გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის და განეწინააღმდეგების ფონდების მოზიდვა საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ;

- საქართველო გახდება ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ეკონომიკური ხიდი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად განვითარდება მსხვილი, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები: საქართველო იქნება გლობალური მომარაგების ჯაჭვების მნიშვნელოვანი კვანძი და მისი გრძელვადიანი მშვიდობიანი განვითარება გლობალური აქტორების უშუალო ეკონომიკური ინტერესი გახდება;
- საგარეო ვაჭრობა გაორმაგდება. საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პოტენციალს ეფექტურად გამოიყენებს. საქართველოს ექნება უვიზო მიმოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დაიდება აშშ-თან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ბრაზილიასთან. საქართველოს მეზობლებთან არსებული სავაჭრო რეჟიმი შენარჩუნდება. რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება შემცირდება მხოლოდ სხვა პარტნიორებთან სავაჭრო ბრუნვის ზრდით და ადამიანებისთვის უკეთესი სავაჭრო ალტერნატივების შეთავაზებით.

## ევროკავშირი

- „ძლიერ საქართველოს“ გვჯერა, რომ საქართველოს ადგილი ევროკავშირშია, საქართველო აღარასოდეს უნდა დაბრუნდეს რუსულ ორბიტაზე.
- გასულ წელს ევროკავშირმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება - საქართველოს მინიჭებოდა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რომელიც ქართველი ხალხის ერთობლივი, პრინციპული და დაულალავი ბრძოლის შედეგია. ვამაყობთ, რომ ამ პროცესის მონაწილე და მხარდამჭერები ვიყავით.
- ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ამისათვის აუცილებელია გადამწყვეტი, გამბედავი და გონივრული რეფორმების გატარება სწრაფად. „ძლიერი საქართველოს“ გუნდს აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ცხრავე რეფორმა ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ წელიწადში. „ძლიერი საქართველო“ გადადგამს 9 ნაბიჯს ევროკავშირისკენ; ეს 9 ნაბიჯი ინტეგრირებულია ჩვენს პროგრამაში „ილიას გზა“.
- დაჩქარდება ინტეგრაცია ევროკავშირსა და NATO-ში და დაიწყება მოლაპარაკებები საქართველოს უსაფრთხოების გარანტორთა მოდელის შესაქმნელად: პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, შვედეთი, ფინეთი, გაერთიანებული სამეფო.
- დასრულდება ანაკლიის ღრმანყოფილების პორტის მშენებლობა და საქართველო გახდება გლობალური მნიშვნელობის სატრანზიტო კორიდორი, რომელიც დააკავშირებს ევროკავშირს, იაპონიას და ჩინეთს.
- დაიდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აშშ-თან, იაპონიასა და სამხრეთ კორეასთან და გაორმაგდება საგარეო ვაჭრობა.
- საქართველო გაატარებს ორი რეგიონის კონცეფციას: საქართველო გახდება შავი ზღვის აუზისა და სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ორი რეგიონის უნიკალური შემაკავშირებელი რგოლი.

## კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და დეოკუპაცია

- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლებისა და დასაქმების უკეთესი ალტერნატივის გაჩენა, ვიდრე მათ ოკუპანტი რუსეთი სთავაზობს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატობით და ვიზალიბერალიზაციით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შედეგად გაჩენილ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ოკუპაციის ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოქალაქეებისთვის თავისუფალი ეკონომიკური და სავაჭრო ზონების შექმნა. მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სავაჭრო-სამენარმეო ურთიერთობების ნახალისება;
- საოკუპაციო გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა (მათ შორის ვიდეო - სათვალთვალო სისტემების მონტაჟი).

საქართველო, დღეის მდგომარეობით, არსებობს რუსეთის მხრიდან წარმოებული განგრძობადი ოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის საგარეო საფრთხეების შემცველ გარემოში. ქვეყნის ორი რეგიონი ოკუპირებულია, რაც მთლიანი საქართველოს ტერიტორიის 20%-ია.

„ძლიერ საქართველოს“ მიაჩნია, რომ აფხაზ და ოს მოსახლეობასთან მშვიდობიან თანაცხოვრებას ალტერნატივა არ აქვს. მათთან ურთიერთობაში აუცილებელია წარსულის გააზრება და შერიგების პროცესის დაწყება.

### „ძლიერი საქართველოს“ პოლიტიკის პირობიტივები:

- დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საერთო ეროვნული ხედვის უმოკლეს პერიოდში შემუშავება, ასევე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება. ზემოაღნიშნულ საკითხზე ფართო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და სახელმწიფო პოლიტიკის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა;
- დემოკრატიული სამყაროს მიერ არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება;
- საზოგადოებაში რაციონალური სახელმწიფოებრივი მიდგომების დამკვიდრება და სტერეოტიპების დაძლევა, ურომლისოდაც მომავალი შერიგება შეუძლებელი იქნება;
- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლების, დასაქმებისა და წარმატების იმაზე უკეთესი ალტერნატივის გაჩენა, რასაც ოკუპანტი რუსეთი სთავაზობს, მათ შორის, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობით, ასოცირებით, ვიზალიბერალიზაციითა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების შედეგად გაჩენილ შესაძლებლობებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- „ჟენევის ფორმატის“ ხელშეუხებლად, აფხაზებთან და ოსებთან თემატური დიალოგის რაც შეიძლება მეტი ფორმატის გაჩენა;
- საოკუპაციო-გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის გაძლიერება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით მათზე ზრუნვას, არამედ საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და სოციალური საკითხების, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით და ა.შ. მათ მიმართ გამოჩენილ მტკიცე და განგრძობად სახელმწიფო მხარდაჭერას და მზრუნველობას;
- საოკუპაციო-გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრები მოქალაქეების სავაჭრო-სამენარმეო ურთიერთობის ნახალისება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ანაკლიის პორტთან და ქალაქ ანაკლიასთან დაკავშირებული მასშტაბური საერთაშორისო პროექტების განახლება, რაც უმნიშვნელოვანეს პლატფორმად მიგვაჩნია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარღვევის მოსახდენად.

## **ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა**

- **ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რეფორმირება და სისტემური გაძლიერება;**
- **თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის ხარისხობრივი გაუმჯობესება;**
- **ნატოს საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ეროვნული უსაფრთხოების სისტემა (გათვალისწინებული იქნება საქართველოს ადგილმდებარეობა, საყოველთაო და სპეციფიკური რისკები, ოკუპაცია და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა გამოწვევები).**

„ქართული ოცნების“ არცერთი პრემიერ-მინისტრის ყურადღების ფოკუსში სათანადოდ არ მოქცეულა უსაფრთხოების პრობლემატიკა ისევე, როგორც ვერც მოქმედმა და ვერც მისმა წინამორბედმა პრეზიდენტმა მოახერხა ვითარების გამოსწორება ხან კონსტიტუციური პრობლემების და ხანაც მთავრობის არაკონსტრუქციულობის გამო. შედეგად, მივიღეთ პარადოქსული ვითარება. ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ხან ორი პარალელური ორგანო არსებობდა (პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული ეროვნული უშიშროების საბჭო და პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო), შემდეგ ორივე გაუქმდა. კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებული სათათბირო ორგანო „ეროვნული თავდაცვის საბჭო“, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი, ფიქტიური და უსარგებლო ორგანოა, რადგან იქმნება მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს და მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე. დაბოლოს, 2019 წელს შეიქმნა პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სათათბირო ორგანო - ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. რაკი უწყებათაშორისი კოორდინაცია სათანადოდ არაა აწყობილი, პასუხისმგებლობა კი გაბნეულია და უსაფრთხოების სფეროში კონცეპტუალური დოკუმენტებიც კი არ განახლებულა (მაგალითად, ბოლოს 2011 წელს განახლდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ასევეა საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომლის არსებული ვერსია (საიდუმლო ნაწილი) 2015 წელს განახლდა და მოიცავს მხოლოდ 2015-2018 წლების პერიოდს. განუახლებელია საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია და არსებობს 2014 წლის რედაქციით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა დახვეწა/პარმონიზებას, ხოლო მთლიანად უსაფრთხოების სისტემა გამართვას მოითხოვს.

უსაფრთხოების პრობლემატიკამ უნდა დაიმკვიდროს ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ხელისუფლების დღის წესრიგში.

**მოკლე დროშია აღსადგენი კონსტიტუციური სტატუსის მქონე ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც იქნება მუდმივმოქმედი ორგანო, მისი აპარატის შესაბამისი საკადრო/საექსპერტო, საინფორმაციო და სხვა სახის უზრუნველყოფით. უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის მოწესრიგების შედეგად, უნდა გამოირიცხოს ფუნქციების დუბლირება და პარალელიზმი, მკაფიოდ დადგინდეს და გაიმიჯნოს კომპეტენციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა,**

**ხარისხობრივად გაუმჯობესდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები პერსონალურად და სისტემატურად უნდა მონაწილეობდნენ წვრთნებსა და იმიტაციურ**

ვარჯიშებში, რომ შეიძინონ ექსტრემალურ (საგანგებო და საომარი მდგომარეობა) და არაორდინარულ (ე.წ. ჰიბრიდული ომის გამოვლინებები) ვითარებაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება-აღსრულების უნარ-ჩვევები.

მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა უნდა აიგოს ნატოს საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე საქართველოს ადგილმდებარეობის, მისი ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციის, საყოველთაო და სპეციფიკური რისკისა და გამონვევების გათვალისწინებით.

## ეროვნული თავდაცვა

- თავდაცვის მოდელზე, მისი რესურსებით უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად, საქართველოს პარლამენტში შეიქმნება კომისია, რომელიც შეიმუშავებს პოლიტიკურ მითითებებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროსთვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისთვის;

- გაღრმავდება პოლიტიკური დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა ნატოსთან საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სწრაფი განევრიანების და თავსებადობის უზრუნველსაყოფად. შეკავების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით დაიწყება დიალოგი პარტნიორებთან, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შესაქმნელად, როგორცაა ერთობლივი წვრთნები, როტაციული ძალები და ა.შ.

- თავდაცვითი შეიარაღების ახალი სისტემების გრძელვადიანი შესყიდვების განხორციელება. ეროვნული გვარდიის ბაზაზე შეიქმნება ტერიტორიული თავდაცვის ძალები მთელი ქვეყნის მასშტაბით და მოხდება მოხალისეთა ორგანიზაციების ერთიან ოპერატიულ სურათში ინტეგრირება.

ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა და ორგანიზაცია მაქსიმალურად იქნება სინქრონიზებული ნატოს და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის სისტემებთან და მექანიზმებთან. საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს აშშ-თან გაფორმებული „სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში“ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში თავდაცვა-უსაფრთხოების მიმართულებით. „ძლიერი საქართველო“ თავდაცვის კონცეფცია დაემყარება პრინციპს: გონივრული მინიმუმი ყაზარმებში მშვიდობიანობის დროს - აუცილებელი მაქსიმუმი ბრძოლის ველზე ომის დროს. შესაბამისად, თავდაცვითი ომისთვის არა მხოლოდ შეიარაღებული ძალები, არამედ მთელი სახელმწიფო მანქანა იქნება მზად და იბრძოლებს. ქვეყნის თავდაცვა დაეფუძნება თავდაცვის ძალებში ნებაყოფლობითი პროფესიული სამხედრო სამსახურის სისტემას, ერთი მხრივ და სამშობლოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების ყველას მიერ შესრულებას, მეორე მხრივ.

ეტაპობრივად გაუქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის დღეს მოქმედი მანკიერი სისტემა, რომელიც ვერც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ამაღლებს და ვერც ახალგაზრდებში აღვივებს პატრიოტიზმს. პირველ ეტაპზე, ექვსთვიანი სამხედრო სამსახური სავალდებულო გახდება მხოლოდ თავდაცვის ძალებში. მეორე ეტაპიდან, როდესაც მზად იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საქართველოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების მოხდა დაეკისრება 18-27 წლის ასაკის ორივე სქესის ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს. საკუთარი არჩევანით ახალგაზრდა გაივლის ექვსთვიან სამხედრო სამსახურს თავდაცვის ძალებში, ან ექვსთვიან პროფესიულ სტაჟირებას თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ქვედანაყოფებში, რის შემდეგაც ჩაირიცხება თავდაცვის რეზერვში.

გაღრმავდება თანამშრომლობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან კიბერუსაფრთხოების საკითხებში და კიბერდანაშაულთან ბრძოლაში. შემუშავდება მტრული ძალების მხრიდან დეზინფორმაციასთან ბრძოლის კომპლექსური პროგრამა. სახელმწიფო მმართველობაში დაინერგება სტრატეგიული კომუნიკაციის სისტემა საინფორმაციო შეტევების პრევენციისა და ეფექტური მოგერიებისთვის. ხელი შეეწყობა მედიაინჟინერების სავალდებულო საგნად ქცევას მოზღვავებულ საინფორმაციო ნაკადებში ორიენტაციის მიმართულებით. მედიასაშუალებებისა და საინფორმაციო სააგენტოების დაფინანსების წყაროები გახდება სრულად გამჭვირვალე.

„ძლიერი საქართველო“, გამომდინარე სამშობლოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულებიდან, რაც საპატიო ვალდებულებაა, მიიჩნევს, რომ საჭიროა საქართველოს ჰყავდეს:

- ნატოს სტანდარტის ჯარი;
- საკონტრაქტო პროფესიული სამხედრო სამსახური;
- 18-27 წლამდე ექვსთვიანი სავალდებულო სამსახური თავდაცვის ძალებში, ან ექვსთვიანი პროფესიული სტაჟირება თავდაცვის უწყებებში;
- კარგად მომზადებული და განვრთნილი რეზერვი ნებაყოფლობითი პრინციპით, როგორც უშუალოდ შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად, ასევე, კონკრეტული საქმის შესასრულებლად და სპეციალური ცოდნის გამოსაყენებლად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად;
- მაღალი ტექნოლოგიები თავდაცვის სფეროში;
- მაღალანაზღაურებადი პროფესიონალი ჯარისკაცი ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობები თავდაცვის ვეტერანებს.

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეპოლიტიზება და რეორგანიზაცია. უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ძლიერი ინსტიტუციის შექმნას, რომელიც იქნება სახელმწიფოს, და არა მმართველი პარტიის სამსახურში.
- სუს-ს უნდა ჩამოერთვას კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების უფლება. შეიქმნება საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე და მისი გადაწყვეტილებები გახდება საჯარო;
- ქვეყანაში უნდა დასრულდეს უკანონო მოსმენები და თვალთვალი. მხარს ვუჭერთ „ლუსტრაციის კანონის“ მიღებას. სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში დასანიშნი ნებისმიერი კანდიდატი უნდა დაექვემდებაროს „ლუსტრაციის კანონით“ დადგენილ მოთხოვნებს.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად, აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეპოლარიზება და რეორგანიზაცია. სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, თავის თავში უნდა გულისხმობდეს ძლიერ ინსტიტუციას სახელმწიფოს და არა მმართველი პარტიის სამსახურში.

სუს-ს უნდა ჩამოერთვას კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების უფლება, რასაც ახორციელებს მისი ანტიკორუფციული სააგენტოს მეშვეობით და შეიქმნას საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე, მისი გადაწყვეტილებები კი საჯარო.

ქვეყანაში უნდა დასრულდეს უკანონო მოსმენები და თვალთვალი. მისაღებია, „ლუსტრაციის კანონი“ და ძალოვან უწყებებში მისაღები ნებისმიერი კანდიდატი, მეტადრე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, უნდა დაექვემდებაროს „ლუსტრაციის კანონით“ დადგენილ მოთხოვნებს.

## კრიზისებზე რეაგირების სისტემა

- ნატოს ვარშავის 2016 წლის სამიტის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიქმნება სამოქალაქო მზადყოფნის (Civil preparedness) სისტემა, რომელმაც უნდა უპასუხოს როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მართვას;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში შეიქმნება გეოლოგიური სამსახურები, რომლებიც შეაფასებენ სტიქიური კატასტროფების რისკებს და დანერგავენ ზიანის პრევენციის სისტემებს;
- მოხდება სამშენებლო სტანდარტების გამკაცრება, უსაფრთხოების პრინციპების, მონიტორინგისა და კონტროლის მკაცრი სისტემის გათვალისწინებით.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შოვის, გურიის, ბაღდათის რაიონში მომხდარმა სტიქიებმა, რომელსაც შეენირა ათეულობით ადამიანის სიცოცხლე, დაგვანახა, რომ კატასტროფების რისკის მართვის მიმართულებით არსებობს სერიოზული პრობლემები და სისტემური ჩავარდნები. „ძლიერი საქართველოს“ პრიორიტეტია გარემოსადგვითი მიმართულება და ამავდროულად, კატასტროფების პრევენციის და რისკის მართვის მიმართულებით შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრის მიერ მოხდეს რეალური კოორდინაცია და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში. ზემოაღნიშნული გულისხმობს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების, ასევე, ეკოლოგიური და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული საფრთხეების პრევენციის და რისკების მართვის მიმართულებით ადგილმდებარეობას და რეალობას მორგებული გზამკვლევების და ევაკუაციის პროტოკოლების შემუშავებას (მაგ. მთის, ზღვის, ჩაკეტილი ხეობების და ა.შ.). ასევე, კლიმატის ცვლილებაზე სახელმწიფო ადაპტაციის გეგმის დადგენას მკაცრი რეგულაციების, მათ შორის, ამკრძალავი ნორმების დანერგვას;

2. კატასტროფების რისკების მართვის მიმართულებით განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები, რაც ქვეყანაში სისტემური პრობლემაა. მოხდეს უწყებათა კომპეტენციების გამიჯვნა და გაძლიერება;
3. სტიქიური კატასტროფების რისკების ზონების გამოყოფა, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი უბნების იდენტიფიცირება (დასახლებების სიახლოვე, რეკრეაციული ზონები და ა.შ.) და ზემოაღნიშნულ რეგიონებში არსებულ თვითმმართველობებში გეოლოგიური სამსახურების ჩამოყალიბება, რომელიც სპეციალური ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფების შექმნით და გამოყენებით, დააკვირდება პროცესებს ვიზუალური და ინსტრუმენტალური მონიტორინგის მეთოდებით. ჯგუფების შემადგენლობაში აუცილებელია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ასევე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა;
4. არსებული მონაცემების და ძველი კვლევების შეკრება ერთ პორტალზე. ახალი კვლევების განხორციელება აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. ღია მოსმენების ორგანიზება საპარლამენტო კომიტეტებში;
5. სტიქიური კატასტროფების რისკების ზონებში სახელმწიფო პროგრამის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც მოსახლეობის ინფორმირების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გასახლების კომპონენტიც;
6. სტიქიური კატასტროფების რისკების ზონებში, სწრაფი რეაგირებისთვის შეიქმნას ადგილობრივი ტექნიკური ბაზა შესაბამისი აღჭურვილობით (მაგ. სათადარიგო დროებითი გადასასვლელი ხიდები). ასევე, სოფლების და სათემო ორგანიზაციების ბაზაზე ჩამოყალიბდეს მობილური და გადამზადებული ჯგუფები, რომლებიც გაივლიან სიმულაციურ სცენარებს. ზემოაღნიშნულში უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება, მათი უშუალო ჩართულობა;
7. კატასტროფების რისკების მართვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო კამპანიის სწორად წარმართვას როგორც მასმედიის, ასევე პირისპირი კომუნიკაციის საშუალებით. საინფორმაციო კამპანია უნდა დაიყოს ორ ნაწილად: ა) საქართველოს მოსახლეობისთვის ზოგადად, ბუნებრივ კატასტროფებზე და ბ) კონკრეტული რისკების ზონებში ბუნებრივი კატასტროფების მოვლენებთან მიმართებით;
8. გამკაცრდეს სამშენებლო სტანდარტები უსაფრთხოების პრინციპების, მონიტორინგისა და კონტროლის მკაცრი სისტემის გათვალისწინებით;
9. აუცილებელია ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების სპეციალური მომზადება საგანგებო სიტუაციების ფარგლებში ეფექტური რეაგირებისთვის. კრიზისული ვითარების დროს უნდა იყოს შესაძლებელი საწოლი ფონდის მობილიზება და საჭიროების შემთხვევაში - საველე ჰოსპიტლის მზაობა;
10. ასევე, აუცილებელია ტურიზმის სექტორის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებში. ყველა ლოკაციაზე უნდა არსებობდეს უსაფრთხოების შესაბამისი ინსტრუქციები და პირველადი დახმარების აღმომჩენი პირები და უწყებები.

## ვეტერანები

- მოხდება ვეტერანი უფროსი ოფიცრების გამოცდილების გათვალისწინება თავდაცვის პოლიტიკის შექმნის და განხორციელების პროცესში;
- ვეტერანთა საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაუტოლდება საარსებო მინიმუმს და ვეტერანის წლიური შემოსავალი - 9000 ლარამდე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან;
- შეიქმნება „ვეტერანთა სახლები“, რაც გულისხმობს პრინციპს - არც ერთი ვეტერანი საცხოვრისის გარეშე.

- ვეტერანი უფროსი ოფიცრების გამოცდილება უკეთ იქნას გამოყენებული თავდაცვის პოლიტიკის განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ვეტერანთა საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს, ან პირდაპირ ციფრი ვთქვათ. (იყო 22, გახუთმაგდა, რასაც ადრე ვითხოვდით. გახუთმაგების შემდეგ ვთქვით დიდი ციფრი, მაგრამ ბიუჯეტის მიხედვით არის ციფრი შესაჯერებელი, რადგან ყოველთვიურია და 70 000 ვეტერანი გვყავს);
- შეიქმნას „ვეტერანთა სახლები“, რაც გულისხმობს არცერთ ვეტერანს საცხოვრისის გარეშე;
- სამედიცინო დაზღვევის სრული პაკეტი ყველა ვეტერანს;
- ვეტერანის წლიური შემოსავალი - 9000 ლარამდე გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან (ბიუჯეტთან კორელაცია უნდა მოხდეს და ციფრი შეიძლება გადაიხედოს);
- უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი მთელი საქართველოს მასშტაბით;
- 50%-იანი ფასდაკლება სახელმწიფო თეატრებსა და კულტურულ დაწესებულებებში.

## ჯანდაცვა

მთავარი ამოცანა - ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე

- საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სრულყოფილი, ხარისხიანი, დროული სამედიცინო დახმარებით. ყველა მოქალაქეს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური და მოტივირებული ოჯახის ექიმი, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად;
- უწყვეტი განათლების გზით მოხდება სამედიცინო პერსონალის (ექიმები, ექთნები, ლაბორანტები, სამედიცინო სფეროს სხვა მუშაკები) კვალიფიკაციის ამაღლება;
- განხორციელდება ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური დაფინანსების მოდელის დანერგვა; ჯანმრთელობის საკითხების გადაჭრაში სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის მკვეთრი გაძლიერება; ფარმაცევტული ბაზრის რეფორმა და დემონოპოლიზაცია.

- ადამიანმა უნდა იცოცხლოს დიდხანს და იყოს ჯანმრთელი;
- ხელმისაწვდომობა, დროული და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება ყველასათვის;
- სრულყოფილი სამედიცინო დაზღვევა ყველას;
- მოტივირებული ოჯახის ექიმი ყველა მოქალაქეს.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მოსახლეობის პროფილაქტიკურ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სამედიცინო ღონისძიებებს. საქართველოში მამაკაცის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 68 (!) წელს, ქალის - 74 წელს, რაც საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. რაც ეხება ავადობის და სხვა მაჩვენებლებს, აქაც საკმაოდ ჩამოვრჩებით ევროპას. იმისათვის, რომ გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა, აუცილებელია, შეიქმნას ჯანდაცვის სისტემა, რომელიც იქნება სრულყოფილი ყველა მიმართულებით. მოტივირებული და ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, დროულად გამოვავლინოთ დაავადებები და სანყის სტადიაზე დავიწყოთ მკურნალობა, ჩავატაროთ პროფილაქტიკური ღონისძიებები, დავნერგოთ ჯანმრთელი ცხოვრების ძირითადი პრინციპები.

კერძო სადაზღვევო კომპანიების ჩართვას ქვეყნის ჯანდაცვის პროცესში. ჯანმრთელობის დაზღვევა ყველასათვის ( არსებული საყოველთაო ჯანმრთელობის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ და ხარისხიან მომსახურებას, მუდამ არის ფინანსების დეფიციტი და სამედიცინო დანებსებულებებს ფუნქციონირება უწევს მუდმივი ფინანსური დეფიციტის პირობებში). კერძო სადაზღვევო კომპანიების ჩართვა მისცემს სახელმწიფოს საშუალებას, რომ აირიდოს ფინანსური დეფიციტი და სამედიცინო დანებსებულებები მუშაობდნენ საბაზრო ფასების მდგომარეობით. რა თქმა უნდა, სადაზღვევო კომპანიების ჩართულობა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მკაცრად გაკონტროლდება სახელმწიფოს მიერ. ქვეყანაში არ არსებობს სარეაბილიტაციო სისტემა, რომელიც აუცილებელია დაავადებების სრულყოფილი მკურნალობისათვის.

სახელმწიფო ვალდებული უნდა იყოს ყველა რთული დაავადების სრულყოფილ, ხარისხიან ხელმისაწვდომ მკურნალობაზე (ფსიქიატრია, ონკოლოგია, დიალიზის პროგრამა, იშვიათი დაავადებები, ინფექციური დაავადებები, ტუბერკულოზი). სრულად შესაცვლელია სამედიცინო განათლების სისტემა: ექთნების განათლება, ექიმების რეზიდენტურის საკითხები (რეზიდენტურა უნდა იყოს ანაზღაურებადი და არარეზიდენტი არ უნდა იხდიდეს სწავლის თანხას, როგორც ახლა არის მიღებული).

ხარისხიანი მედიკამენტების უზრუნველყოფის საკითხი. არ უნდა არსებობდეს ცნებები - ხარისხიანი და ნაკლებად ხარისხიანი მედიკამენტი. არსებული DRG დაფინანსების სიტემის საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანა, ყოველწლიური და ფასების და ხელფასები ინდექსირება.

## სოციალური პოლიტიკა

### ადამიანზე მზრუნველი სისტემის შექმნა

- ჩვენი ძირითადი საზრუნავია, რომ შრომა გახდეს დაფასებული - ნებისმიერმა შრომისუნარიანმა ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს და არ ეშინოდეს მომავლის. სოციალურად დაუცველებისთვის ჩამოყალიბდეს სამართლიანი დახმარების სისტემა;

- ადგილობრივი შრომის ბაზარი გახდება გამჭვირვალე და დინამიკური, ადამიანს არ ეშინოდეს სამსახურის დაკარგვის და ჰქონდეს პროფესიული ზრდისა და გადამზადების შესაძლებლობა;
- პენსია გახდება 1000 ლარი, ნაცვლად დღევანდელისა, რაც თავისი არსით არა პენსია, არამედ შემწეობაა.

### **ვემნით სოციალურად სოლიდარულ საზოგადოებას**

- დასაქმების შემთხვევაში ბენეფიციარს ორი წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება სოციალური დახმარება;
- სოციალური რეესტრის შექმნა - ერთიანი სისტემა სოციალურად დაუცველი ოჯახების სამართლიანად დახმარებისთვის;
- ყველა სოციალურად დაუცველს ექნება სამედიცინო დაზღვევის სრული პაკეტი;
- პროფესიული გადამზადების კურსებს სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის სახელმწიფო დააფინანსებს.

### **პენსიონერები**

#### **ხანდაზმულთა კეთილდღეობა ჩვენი ვადგებულებაა**

- პენსია გახდება 1000 ლარი;
- არცერთი მარტოხელა მოხუცი სახელმწიფოს ზრუნვის გარეშე;
- ხარისხიანი სამედიცინო დაზღვევის სრული პაკეტით ისარგებლებს ყველა პენსიონერი;
- პროექტი „თაობა თაობისთვის“ - პენსიაზე გასვლის შემდეგ 3 წლის განმავლობაში პენსიონერს შეუძლია გახდეს ახალგაზრდა თანამშრომლის მენტორი. მას ექნება ხელფასი და შეუნარჩუნდება პენსია. პროექტში ჩართულ კომპანიებს ენიჭებათ შეღავათები.
- პენსიონერის ბარათი „65+“ (უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, 50%-იანი ფასდაკლება სახელმწიფო თეატრებსა და კულტურულ დაწესებულებებში).

### **ქალები**

#### **ძლიერი ქალი - ძლიერი საქართველოსთვის**

- ქალთა სიღარიბის დაძლევა ეკონომიკური გაძლიერებით, თანაბარი სახელფასო განაკვეთით და ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით;
- ქალთა მიმართ საზოგადოებასა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა საკანონმდებლო და აღმასრულებელი გარანტიების უზრუნველყოფით;
- ქალთა პოლიტიკური გაძლიერება - მეტი ქალი ქვეყნის მართვის სადავებთან!

## „ძლიერი საქართველო“ ქალებისთვის

● „ძლიერი საქართველო“ არის ახალი ძალა, რომელსაც სჯერა, რომ სწორედ ქალების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გააქტიურება ხელს შეუწყობს ისეთი სახელმწიფოს მშენებლობას, რომელიც ორიენტირებული იქნება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ოჯახების წინაშე არსებული პრიორიტეტების გამოკვეთაზე, ჩვენი შვილების უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფაზე, ქვეყანაში სტაბილურობის და მშვიდობის შენარჩუნებაზე და განათლებაზე. ჩვენ უნდა შევცვალოთ ქალთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება და დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოება ქალების და მამაკაცების საჯარო სფეროში თანასწორობის მნიშვნელობაში, რადგანაც უთანასწორობის შედეგებია მასშტაბური და დამანგრეველია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ ძლიერი და ბედნიერი სახელმწიფოს მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალების და მამაკაცების ხმა საზოგადოებაში თანაბრად „ისმის“. ჩვენ გვჯერა, რომ ქალებს შეუძლიათ იბრძოლონ ცვლილებებისთვის, საზოგადოების კონსოლიდირებისთვის და გარდამტეხი როლი შეასრულონ ქვეყნის განვითარებაში.

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
- ქალთა სიღარიბის დაძლევა და მათი ეკონომიკური გაძლიერება
- მეტი ქალი ქვეყნის მართვის სადავეებთან
- მეტი მენარმე ქალი ქვეყანაში
- შრომის თანაბარი ანაზღაურება
- ქალთა მიმართ ძალადობასთან უკომპრომისო ბრძოლა
- ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემა
- შშმ ქალებისთვის გენდერულად მგრძობიარე სამედიცინო მომსახურება
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
- ქალების არსებითი თანასწორობასთან დაკავშირებული ინიციატივებისა და კანონპროექტების მხარდაჭერა. ქალთა პოლიტიკური გაძლიერება. სახელმწიფო სტრუქტურებში გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა.

● „ძლიერი საქართველო“ პარლამენტში მხარს დაუჭერს ქალების არსებითი თანასწორობის ყველა ინიციატივასა და კანონპროექტს, მათ შორის ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას. არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის/საარჩევნო ბლოკებისთვის პროპორციულ სიებში სავალდებულო გენდერული კვოტების დროებითი მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირებას, რაც გულისხმობს პროპორციული სიით წარდგენილ კანდიდატთა სიებისთვის არანაკლებ 30-პროცენტის კვოტის დანესებას (სიაში მინიმუმ ყოველი მესამე ქალი უნდა იყოს). ქალი წევრის მიერ მანდატის დატოვების შემთხვევაში დაცული იქნება სიაში ჩანაცვლების წესი გენდერული კვოტირების წესის გათვალისწინებით.

● ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებში გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას - ქალების მოტივაციის გაზრდას და წახალისებას სამთავრობო და სხვა მაღალი პოზიციონირების დასაკავებლად; მინისტრებისა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობებზე პროფესიონალი ქალების გამოვლენას მათი შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის მიზნით; კანონმდებლობის დახვეწას სამსახურში ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად; სამთავრობო და საკანონმდებლო მექანიზმების შექმნას, რაც გულისხმობს საჯარო უწყებებში ქალებსა და მამაკაცებს შორის „რაოდენობრივი სხვაობის“ მონიტორინგს.ცნობიერების ამაღლებას და ქალებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას (ბაგა-ბალები, გახანგრძლივებული სასწავლებლები, შშმ ბავშვების და მოზარდების დღის ცენტრები).

- ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების უზრუნველყოფას შრომის ბაზარზე უთანასწორო გარემოს გაუმჯობესებისთვის და შრომის პირობების ინსპექტირებისთვის.
- ქალების სიღარიბის დაძლევისთვის და ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მენარმე ქალების წახალისების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების დანერგვას რაც გულისხმობს:
  - ქვეყნის სავაჭრო-საექსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტების ჰარმონიზაციას საგრანტო პროგრამებთან და პროდუქციის რეალიზაციის არხების და შესაძლებლობების გაზრდას: გენდერულად სენსიტიური სახელმწიფო შესყიდვების კვოტის შემოღებას, გასაღების ბაზრების მოძიებაში დახმარებას, საერთაშორისო პლატფორმებზე წვდომის ხელშეწყობას.
  - საგადასახადო პოლიტიკაში ქალი მენარმეებისათვის 6-თვიანი საშელავათო პერიოდის შემოღებას.
  - სახელმწიფო პროგრამების მიხედვით ქალი აპლიკანტებისთვის მონაწილეობისთვის სავალდებულო თანადაფინანსების ოდენობის შემცირებას.
  - ქალი მენარმეებისთვის სახელმწიფო პროგრამებში სპეციალური/ცალკე პროგრამების და მოდულების დანერგვა.
  - პროფესიული განათლების და ბიზნესუნარების დაუფლების სპეციალური პროგრამების დანერგვას.
  - სახელმწიფო და კომერციულ პროგრამებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და მოტივაციის გაზრდას სპეციალური პროგრამებით, კონსულტაციებით და სპეციალური მარკეტინგული საინფორმაციო კამპანიით.
  - პროგრამებში მონაწილეობის სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივებას: ონლაინ აპლიკაციების შევსებისას სპეციალური საკონსულტაციო სამსახურების გაძლიერებას; პროგრამების ადმინისტრირების დეცენტრალიზაციას და რეგიონული ოფისების როლის გაზრდას (ქალების თბილისში ვიზიტების შემცირების მიზნით); ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პროგრამების შესახებ დოკუმენტაციის ორ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
  - ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება
  - „ძლიერი საქართველოს“ მოდელის მიხედვით ვგეგმავთ ჯანდაცვის სისტემაში ფუნდამენტური რეფორმების გატარებას, კერძოდ:
    - ქალთა ინფორმირებულობის ზრდას კიბოს სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის სერვისებზე უფრო მეტი წვდომის შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
    - ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში აქტიური საინფორმაციო კამპანიებით.
    - გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას რეგიონებში და ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის გამოცხადებულ სატენდერო დოკუმენტაციაში შესაბამისი პირობების განსაზღვრის უზრუნველყოფას.
    - ორგანიზებული სკრინინგის კამპანიის დაწყებას და ოჯახის ექიმის მონაწილეობის გაზრდას პაციენტებისთვის სკრინინგზე რეკომენდაციის გაცემის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით.
    - კიბოს მკურნალობასთან დაკავშირებული სირთულეების და ხარვეზების აღმოფხვრას - კლინიკების აღჭურვას და სერვისების გაუმჯობესებას.
    - დედათა და ქალთა ჯანმრთელობის სერვისების თაობაზე ინფორმირებულობის და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით:
  - ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის პერიოდის მენეჯმენტის გაძლიერებას.

- დედათა ჳანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.
- პარტნიორის, ოჯახის და საზოგადოების ჩართულობის გაზრდას დედათა და ბავშვთა ჳანმრთელობის მართვაში.
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით „ძლიერი საქართველო“ გეგმავს ყველა იმ ქმედითი ნაბიჯის გადადგმას, რაც მიზნად ისახავს ქალების უფლებების და მათი უსაფრთხოების დაცვას ძალადორივ გარემოში. ამისთვის კი საჭიროა, ერთი მხრივ, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მექანიზმების ეფექტური მუშაობა, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი პროგრამების განხორციელება ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი ბავშვების ხელშესაწყობად:
- ოჯახში ძალადობის და ადრეული ქორწინების პრევენციისთვის აუცილებელია სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძღერებას, რადგან სწორედ ამ რგოლს ეკისრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა და კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ჩატარება.
- ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მომუშავე სოციალურ მუშაკთა გადამზადებას, მათი რაოდენობის გაზრდას და ნაკისრი ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისთვის საჭირო სამუშაო პირობების უზრუნველყოფას.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ოჯახში ძალადობასა და ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირებას სასწავლო გეგმებში (ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროგრამების განხორციელებას შესაბამის ენაზე);
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავებას და სამართალდამცავ უწყებებთან და სოციალური მუშაკების ინსტიტუტთან კოორდინაციის ხარისხის გაზრდას.
- მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისებზე (თავშესაფრებზე) ტერიტორიული ხელმისაწვდომობას რეგიონების მიხედვით;
- პროკურატურაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს ფემიციდის საქმეებში გენდერული მოტივების დადგენას;
- სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავებას;

**სოციალური დაცვის გარანტიები: მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი დედები, შშმ ქალები და შშმ პირების დედები**

- სოციალური დახმარების ისეთი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ორიენტირებულია მარტოხელა დედის, მრავალშვილიანი დედის, შშმ ქალის, შშმ ბავშვის დედის და მათი ოჯახების არამხოლოდ მყისიერი ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე; სახელმწიფოს დახმარება უნდა იყოს არამხოლოდ ფულადი და უნდა დაიგეგმოს როგორც გრძელვადიანი პროექტი მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ამ პირების უნარების გაძღერებაზე და ამ ადამიანების შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებაზე.
- თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე.
- მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების, შშმ ქალების და შშმ პირების დედების წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, „ძლიერი საქართველოს“ მოდელის მიხედვით ჩვენ ვგეგმავთ:
  - მარტოხელა დედის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების გადახედვას.

- სამედიცინო პროტოკოლების გადახედვას შშმ ქალთა და შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ქრილში შშმ პირების და შშმ ქალების ჩართულობით.
- შშმ ქალებისა და გოგონებისთვის, კვალიფიციური, ეფექტური და უსაფრთხო სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით სამედიცინო პერსონალის გადამზადება (მათ შორის გენდერულად მგრძობიარე სამედიცინო მომსახურების მიწოდების კუთხით).
- ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში შემოსულ ქალებსა და გოგონებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენის მიზნით შესაბამისი პროტოკოლის შემუშავება, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ფეხმძიმობის ტესტსა და ინფორმაციას წამლების შესაძლო გვერდითი ეფექტების შესახებ.
- თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დასაქმების ხელშეწყობის თაობაზე, მათ შორის ბიზნესის წახალისებას შშმ პირთა დასაქმების კუთხით.
- საჯარო სამსახურში გაიზრდება შშმპ-ების დასაქმების შესაძლებლობები.
- ქალების უსაფრთხოება და მათი როლი კონფლიქტების მოგვარების პროცესში
- კონფლიქტის დროს აუცილებელია მშვიდობიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვა. ასევე საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენება მოძალადეების დასასჯელად. აუცილებელია, რომ ქვეყანას გააჩნდეს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა და არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის სტრატეგია.
- ქალების როლის გაზრდისას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, მთავარი მიზანია ქალების ხელშეწყობა და გააქტიურება მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ კონფლიქტების პრევენციისა და დაძლევის საკითხში. ამავე დროს, აუცილებელია კონფლიქტების მსვლელობისას, ყურადღება მიექცეს სექსუალური ძალადობისგან ქალების დაცვას და მათ უსაფრთხოებას. „ძლიერი საქართველო“ მიხედვით ჩვენ ვგეგმავთ შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:
- ეროვნული სამოქმედო გეგმაში ქალების შესახებ მშვიდობისა და უსაფრთხოების რეზოლუციების შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებას და პროცესში იურისტების, უსაფრთხოების სამსახურების, ქალთა ორგანიზაციების და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართვას;
- ძალოვან უწყებებში ქალთა ლიდერობის ხელშეწყობას;
- ყოფილი მეზობელი ქალებისთვის სოციალურ რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას;
- შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა და არასრულწლოვანთა სექსუალური ძალადობისგან დაცვის სტრატეგიის შემუშავებას.

## შშმ პირები

### საქართველო - ქვეყანა ბაიბიების გახეშე

- შშმ პირის დასაქმების შემთხვევაში ბიზნესს დაუნესდება შეღავათები;
- საჯარო სამსახურში გაიზრდება შშმ პირების დასაქმების შესაძლებლობები;
- ადაპტირებული გარემოს შექმნა და სამედიცინოდან სრულ სოციალურ მოდელზე გადასვლა.

„ძლიერი საქართველოს“ პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვის მხარდაჭერა იმ პროგრამების, პოლიტიკისა და კანონების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში, რომელიც გავლენას ახდენს მათ სრულფასოვან ცხოვრებაზე. შესაბამისად:

- ჩამოყალიბდება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა უწყვეტ შეგროვებას შშმ პირებისა (ასაკისა და სქესის ნიშნით დაყოფილი) და იმ ბარიერების შესახებ, რომლებსაც შშმ პირები უფლებების რეალიზებისას აწყდებიან;
- უზრუნველყოფთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების იმ სოციალურ პროგრამებზე წვდომას, რომელიც შეზღუდვის ხარისხის მიუხედავად, მიმართულია ბავშვების საზოგადოებაში ინკლუზიაზე, აგრეთვე იმ პროგრამებზე, რომლებიც აღიარებენ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაბამისად რეაგირებენ მათზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა წარმომადგენელ ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, შემუშავდება სტრატეგია ცხოვრების ყველა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მიმართულებით.
- გაიზრდება მისაწვდომობის პროექტების წლიური დაფინანსება, რათა გაუმჯობესდეს საჯარო სივრცეებზე წვდომა, მათ შორის გარე სივრცეებზე, ახალ და არსებულ შენობებზე, კერძოდ, შენობებზე, რომელიც განათლების, ჯანდაცვის, ადმინისტრაციული და კულტურული მიზნებისთვის გამოიყენება. გამოიყოფა ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები შესტური ენის თარგმანის, სუბტიტრების, ტიტრების/წარწერების, აუდიო აღწერის, ბრაილის, მარტივად წასაკითხი ფორმატის უზრუნველსაყოფად ცხოვრების ყველა სფეროში. მიღებული იქნება ზომები, რათა დაცული იყოს შშმ პირთა უფლებები, სხვათა თანასწორად, ჰქონდეთ სამართლიანი და ხელსაყრელი გარემო სამუშაო ადგილზე, მათ შორის თანაბარი შესაძლებლობები და თანაბარი გასამრჯელო თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისთვის; გაიზარდოს დაუბეგრავი მინიმუმის შეღავათი, რომელიც ამჟამად შეადგენს წლის განმავლობაში მიღებულ 6000 ლარს.

*o გაეხოს შშმ პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, გაგაჩვენება დიდი და ეფექტური ღონისძიებები სოციალური მოდერის ამოქმედებისთვის. პოლიტიკური ცხოვრებასა და საჯარო ადმინისტრაციაში ხელი შეეწყოს შშმ პირთა, განსაკუთრებით კი შშმ ქალთა მონაწილეობას; შეიქმნას ხელსაყრელი გარემო შშმ პირებისთვის, მათ შორის მოხდეს მათი დამხმარე ხელსაწყობითა და პირადი ასისტენტით უზრუნველყოფა, ხათა მათ დაიკავონ საჯარო თანამდებობები და შეასხურონ ყველა საჯარო ფუნქცია მმახთველობის ყველა დონეზე;*

- მუნიციპალურ დონეზე შემუშავდება პროგრამები და შესაბამისი ბიუჯეტი იმ ღონისძიებების გასატარებლად, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები დისკრიმინაციისგან უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს სათემო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობას.

## ემიგრაცია

- ემიგრაციის ერთიანი ეროვნული საინფორმაციო ბაზის შექმნა და რეგისტრაცია მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის უფლების უზრუნველყოფა;
- მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნა წარმატებულ ემიგრანტთა, მეცნიერთა და ბიზნესმენტთა მონაწილეობით, ქვეყანაში ინვესტიციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;
- ემიგრაციიდან დაბრუნებული პირებისთვის, ბიზნეს-საქმიანობის დაწყების შემთხვევაში შეღავათიანი საგადასახადო პირობებისა და სპეციალური იპოთეკური პროგრამების შემუშავება.

## დაიბრუნე ხმა, დაიბრუნე საქართველო!

- შეიქმნება ემიგრაციის ერთიანი ეროვნული საინფორმაციო ბაზა და განახლდება ემიგრაციის საყოველთაო აღწერაში შეყვანა;
- ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტში გაიხსნება საარჩევნო უბანი და გაუქმდება საცხოვრებელი მისამართით რეგისტრაციის ვალდებულება;
- „ძლიერი საქართველო“ შექმნის წარმატებულ ემიგრანტთა - მეცნიერთა და ბიზნესმენტთა - მუდმივმოქმედ საკონსულტაციო საბჭოს ქვეყანაში ინვესტიციების, ცოდნის და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;
- „ძლიერი საქართველო“ გაატარებს ემიგრანტების დაბრუნების და ემიგრაციაში იძულებით წამსვლელთა რიცხვის შემცირების პოლიტიკას;
- ემიგრანტი მოქალაქეების მიმართ სახელმწიფო მფარველობის ეფექტური პოლიტიკის შემუშავება და უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის და მათში ემიგრაციიდან დაბრუნებული პირების დასაქმებისთვის;
- ემიგრაციიდან დაბრუნებული პირების მიერ ბიზნესსაქმიანობის დაწყების შემთხვევაში შეღავათიანი საგადასახადო პირობების შექმნა;
- ემიგრაციიდან დაბრუნებული პირებისთვის სპეციალური იპოთეკური პროგრამები.

## იძულებით გადაადგილებული პირები

- ემიგრაციაში მყოფი დევნილებისთვის გამარტივდება მოქალაქეობის აღდგენის/შენარჩუნების/მინიჭების პროცესი.
- შემუშავდება ხუთწლიანი გეგმა, რომლის შესაბამისადაც, ყველა დევნილი დაკმაყოფილდება ღირსეული საცხოვრებელი ფართით. 45 ლარიანი შემწეობა გაუთანაბრდება საარსებო მინიმუმს.
- კანონი რესტიტუციის შესახებ შევა ძალაში და დევნილებს დაუკანონდებათ უძრავი ქონება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონში).

## **ვიდეო ჩვენს სახელებში დავბრუნდებით**

- სოხუმამდე პირველი გაჩერება - ქალაქი ანაკლია;
- საკუთრების უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
- პრიორიტეტულად დევნილების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით
- დევნილების დასაქმების პროგრამა (პრიორიტეტულად ანაკლიაში);
- საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ყველა სოფელში სპეციალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელება.

## **დამოუკიდებელი სასამართლო**

- მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო პროცესის, ე.წ. ვეტინგის უზრუნველყოფა;
- საქმეთა სწრაფად განხილვის მიზნით სასამართლოში ყველა ვაკანსიის შევსება და განხილვის ვადების შემჭიდროვება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების შემცირება და მოსამართლეების ე. წ. გადასახლების გაუქმება.

განხორციელდება მოსამართლეთა და იუსტიციის საბჭოს წევრების კეთილსინდისიერების შემოწმება, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირში განწესდებისთვის აუცილებელი 9 რეფორმის ფარგლებში. ისინი, ვინც ვერ მიიღებენ დადებით შეფასებას, დატოვებენ სისტემას.

განხორციელდება იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილების, დაკომპლექტების და საქმიანობის წესის ცვლილება იმისათვის, რომ საბჭომ რეალურად შეასრულოს კონსტიტუციით დაკისრებული ფუნქცია - უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა.

გატარდება საჭირო ცვლილებები სასამართლო სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაციის და კორპორატივიზმის/კლანურობის აღმოსაფხვრელად და სამომავლო პრევენციისთვის.

გაუქმდება მოსამართლეზე ზენოლის მოხდენის და მის გადაწყვეტილებაში ჩარევის მექანიზმები (მაგ. გამოსაცდელი ვადა, ე.წ. გადასახლების მექანიზმი და სხვ.).

შეიქმნება სასამართლოს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კანონით გარანტირებული სისტემა.

მართლმსაჯულება გახდება დროული და ეფექტური, გაიზრდება მოსამართლეთა რაოდენობა და გაიწერება შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები გადაწყვეტილებების დროულად გამოტანის უზრუნველსაყოფად.

განხორციელდება საკონსტიტუციო მართლმსაჯულების რეფორმა.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო

- პოლიციის სრული დეპოლიტიზება; პოლიცია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და არა მმართველი პარტიის ინტერესებს;
- საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, სამართლიანი და ეფექტური სამართალდამცავი სისტემის ჩამოყალიბება;
- გამოძიების დამოუკიდებელი ბიუროს შექმნა.

- სამართლიანი და ეფექტური სამართალდამცავი სისტემა;
- პოლიციის სრული დეპოლიტიზება;
- საზოგადოების ნდობით და პატივისცემით აღჭურვილი პატრული, რომელიც ანგარიშვალდებულია ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე;
- შეიქმნება გამოძიების დამოუკიდებელი ეროვნული ბიურო.

## პროკურატურა

- გენერალური პროკურორის არჩევა პარლამენტის 2/3 უმრავლესობით;
- პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა საპროკურორო უფლებამოსილებების განხორციელებისას;
- რეალური საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე.

## პროკურატურის ხელოვნება

- განხორციელდება პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმა. რეფორმის სწორად განხორციელების მიზნით, დაუყოვნებლივ მოინვესტირება საგანგებო შემფასებელი მისია, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლის ყველა იმ სისტემურ პრობლემას, რომელიც გააჩნია საქართველოს პროკურატურას. ამ შეფასების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების, ასევე ვენეციის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, მომზადდება სრულყოფილი რეფორმის პაკეტი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტი.
- მთავარი პროკურორი არჩეულ იქნება პოლიტიკური კონსენსუსით და არა ერთპარტიულად. მას აღარ ექნება ერთპიროვნული ძალაუფლება მართოს სისტემა, განსაკუთრებით თითოეული პროკურორის კარიერასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. აღნიშნული ძალაუფლება გადანაწილდება საპროკურორო საბჭოზე, საპროკურორო საბჭოში გატარდება რეფორმა (შეადგენლობაში აღარ შევლენ პარლამენტის წევრები, გატარდება სხვა ზომები საბჭოს დეპოლიტიზირების მიზნით) , როგორც ეს მოცემულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში. რეფორმა ასევე შეეხება საგამოძიებო და დევნის ფუნქციების გამიჯვნას.

## კორუფციასთან ბრძოლა

- კორუფციის გამოძიების ფუნქციით აღჭურვილი ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა.
- კორუფციული გზით მიღებული დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია;
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირეული რეფორმა და ოფშორული კომპანიების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

- შეიქმნება საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო;
- ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე, მისი გადაწყვეტილებები კი საჯარო;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჩამოერთმევა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია და გადაეცემა საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილ ახალ დამოუკიდებელ უწყებას;
- ახლად შექმნილ ეროვნულ ანტიკორუფციულ სააგენტოს ექნება საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლის, საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის და პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კონტროლის ფუნქციები;
- მიღებულ იქნება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე ხელისუფლების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ძალიან მაღალ სტანდარტს;
- მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიქმნება თანამდებობის პირების მიერ კორუფციული გზით მიღებული დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაციის ეფექტიანი მექანიზმი;
- შეიქმნება ოფშორული კომპანიების ბენეფიციარი მესაკუთრეების რეესტრი და ჩამოყალიბდება ამ კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში, სახელმწიფო ქონების აუქციონებში და ნებართვების/ლიცენზიების მიღების პროცესში ჩართულობის დამატებით კრიტერიუმები;
- შეიქმნება მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისია, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო სახსრების, მსხვილი საგრანტო რესურსების და მსხვილი საბიუჯეტო დანახარჯების განკარგვის პროცესებს. კომისიაში შევა ყველა ფრაქციის ჯგუფის თითო წარმომადგენელი და მას ოპოზიციაში მყოფი პარლამენტის წევრი უხელმძღვანელებს;
- საერთაშორისო პარტნიორების და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში;
- გაიზრდება იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, ვისაც აქვს ქონებრივი დეკლარაციის შევსების ვალდებულება და გაფართოვდება იმ პირთა წრე (ოჯახის წევრები, ნათესავები) ვის საკუთრებაში არსებული ქონების დეკლარირების ვალდებულებაც კანონით არის განსაზღვრული;
- გათვალისწინებულ იქნას ვენეციის კომისიის რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

## სასჯელადსრულება

- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ორიენტირებული პენიტენციური სისტემა;
- ვადამდელი გათავისუფლების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმი;
- კრიმინალური ავტორიტეტების ინსტიტუტის მოშლა.

## საჯარო სამსახურის რეფორმა

- მოსახლეობისთვის საჯარო სერვისების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მმართველობის ყველა სფეროს გაციფრულება, მომსახურების გაუმჯობესება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და გამჭვირვალობა;
- ნეპოტიზმის აღმოფხვრა, საჯარო სამსახურის დანყებისა და კარიერული წინსვლის სამართლიანობა და ღიაობა, საჯარო მოხელეებზე პოლიტიკური წნეხის მოხსნა;
- სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია და საჯარო მოხელეების გათავისუფლება კორუფციული რისკების შემცველი საქმიანობისგან.

ოცნებამ არ შეასრულა ევროკავშირთან 2015 წლის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის სიღრმისეული რეფორმირების თაობაზე. საჯარო მმართველობა და საჯარო სერვისების მიწოდება არის არაეფექტური, არასისტემური და არამდგრადი. საჯარო სამსახურის წამყვანი თანამდებობები უკავიათ პოლიტიკური ერთგულებისა და ნეპოტიზმის ნიშნით შერჩეულ, დაბალი კვალიფიკაციის მოხელეებს, რომლებიც ემსახურებიან მმართველ რეჟიმს და არა სახელმწიფოს და ხალხს.

„ქლიერი საქართველო“, ტოტალიტარულიდან დემოკრატიულ საჯარო მმართველობაზე გადასვლის აღმოსავლეთ ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უმოკლეს ვადებში განახორციელებს აღნიშნულ რეფორმებს. კერძოდ:

1. მმართველობის ყველა სფეროს გაციფრულების, მომსახურების გაუმჯობესებისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებისათვის სწრაფი ტემპით დანერგავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ხელმისაწვდომს გახდის მას ყველა მომხმარებლისთვის.

2. საჯარო დანესებულებების ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს და ინსტიტუციურად დაამკვიდრებს უმაღლეს სტანდარტებს.

3. საჯარო მოხელეებზე პოლიტიკური წნეხის მოსახსნელად, ნეპოტიზმის აღმოსაფხვრელად და კარიერული წინსვლის კვალიფიკაციის მიხედვით უზრუნველსაყოფად სამინისტროებში შემოიღებს უმაღლესი ადმინისტრაციული მენეჯერის თანამდებობას, რომლის ექსკლუზიური უფლებამოსილება იქნება ადმინისტრაციული და საკადრო გადაწყვეტილებების მიღება და მიმავალი მინისტრის გუნდთან ერთად არ დატოვებს თანამდებობას.

4. საჯარო მმართველობის პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად დანერგავს წინასწარი კონსულტაციების ერთიან სავალდებულო სისტემას, განსაკუთრებით, ადგილობრივი ბიუჯეტების შემუშავების, მიღებისა და ანგარიშების დამტკიცების პროცესში.

5. სახელმწიფო საწარმოების და სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი პრივატიზაციის გზით არა მხოლოდ გააჯანსაღებს და განავითარებს ეკონომიკას, არამედ ამ საწარმოების და ქონების მართვის პროცესში ჩართულ საჯარო დაწესებულებებსა და საჯარო მოხელეებსაც გაათავისუფლებს მათთვის უჩვეულო და მაღალი კორუფციული რისკების შემცველი საქმიანობიდან.

## რეგიონული პოლიტიკა და თვითმმართველობა

- რეალური დეცენტრალიზაცია, მეტი ფინანსები და უფლებები მუნიციპალიტეტებს, საკრებულოები ხალხისთვის და მოსახლეობის პრიორიტეტებზე მორგებული ადგილობრივი ბიუჯეტები;
- თვითმმართველობის კანონმდებლობისა და მენეჯმენტის ჰარმონიზაცია საუკეთესო ევროპულ სტანდარტებთან;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყოების რეფორმა მოსახლეობის თვითმმართველობის განხორციელებაში მეტი ჩართულობისთვის; რეგიონების დონეზე მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის სისტემის შექმნა; გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმება.

### გამოწვევებთან გამკლავება და გადაჭრის გზები

მნიშვნელოვანია, დეცენტრალიზაციის რეფორმის გაღრმავება და რეალური თვითმმართველობის ხელშეწყობა, რაც უნდა დაეყრდნოს შემდეგ პრინციპებს:

- გულისხმიერება/პროაქტიულობა - სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ემყარება, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა პრიორიტეტებს.
- პასუხისმგებლობა - განკარგოს მის ხელთ არსებული რესურსები გონივრულად და წინდახედულად. მოიპოვოს მოქალაქეების ნდობა. გააკეთოს მეტი ნაკლებ ფასად.
- ანგარიშვალდებულება - გამჭვირვალედ მუშაობა და ამომრჩევლისადმი მუდმივი ანგარიშის წარმოება.

### ამის მისაღწევად საჭირო იქნება ჩიგი ცვლილებების გაგახება:

1. საკრებულოების როლის გაზრდა და გაძლიერება. ამასთანავე, მოქალაქეების მეტი ჩართვა ადგილობრივ დონეზე მმართველობაში. არსებული პრაქტიკით საკრებულოები კომპლექტდება პარტიული სიითა და მაჟორიტარი დეპუტატებით. როგორც წესი, პარტიული სიით გასული დეპუტატები მთლიანად ორიენტირებული არიან პარტიული პოლიტიკის გატარებაზე და ანგარიშვალდებულებას ინარჩუნებენ არა ამომრჩევლის მიმართ, არამედ პარტიული აპარატის წინაშე. მაშინ როდესაც მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები პირდაპირ არიან მიბმული თავიანთ ამომრჩევლებზე და იციან თუ ვის მიმართ არიან პასუხისმგებელი. შესაბამისად, მაჟორიტარი დეპუტატები ბიუჯეტის განაწილებისას ბევრად უფრო აქტიურად წარმოადგენენ თავიანთი ამომრჩევლების ინტერესებს, ვიდრე პარტიული სიით საკრებულოში მოხვედრილი დეპუტატები. ამდენად მიზანშეწონილი იქნება გაიზარდოს საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების წილი, მაგალითად, 75%-მდე.

2. საკრებულოებს გაეზარდოს მერის იმპიჩმენტის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მერი აირჩევა პირდაპირი წესით, მისი უფლებამოსილება უნდა ექვემდებარებოდეს მეტ კონტროლს საკრებულოს მხრიდან. ეს ასევე გააჯანსაღებს და გამოაცოცხლებს ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებს.

3. ქალებისა და ახალგაზრდების სტიმულირება ადგილობრივ თვითმმართველობაში და მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საკრებულოებში, რაც შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ბენეფიტების შეთავაზების გზით (მაგალითად, საკრებულოს ანაზღაურებადი წევრობა ამ ჯგუფების წარმომადგენლებისთვის).

4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დამკვიდრება, რაც გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის წილის (როგორც წესი, ეს არ აღემატება 7-8% საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე) მოქალაქეთა მიერ დაგეგმილ პროექტებზე დახარჯვას. ამასთანავე, შეიძლება რომ ამ ბიუჯეტის ნაწილი მიმართული იყოს მხოლოდ ახალგაზრდულ პროექტებზე.

5. გაუქმდეს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (გუბერნატორის ინსტიტუტი), რომელიც წარმოადგენს ხელოვნურ დანამატს და ხშირ შემთხვევაში, უხეშად ერევა თვითმმართველობების კომპეტენციაში. ამასთანავე, არ ასრულებს არანაირი მომსახურების მიწოდებას მოქალაქეებისთვის და წარმოადგენს ზედმეტ ადმინისტრაციულ რგოლს. მეტწილად, გამოიყენება როგორც პოლიტიკური კონტროლისა და ზემოქმედების მექანიზმი. ამის სანაცვლოდ, შეიქმნება მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობითი სისტემა.

6. გადაიხედოს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და 2017 წელს ქალაქებისთვის ჩამორთმეული თვითმმართველობის სტატუსი. ეს არ გულისხმობს 7-ვე ქალაქისთვის თვითმმართველი სტატუსის დაბრუნებას. ქვეყანაში უყურადღებოდაა მიტოვებული ურბანიზაციის საკითხები, მაშინ როდესაც განუხრელად იზრდება რამდენიმე ქალაქის მოსახლეობა, რაც იწვევს, მაგალითად, თბილისისა და ბათუმის ქაოტურ ზრდას. ამავდროულად, გვაქვს ქალაქები, რომელთაც გააჩნიათ ზრდის პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში განვითარების პროცესებს (მაგალითად, ახალციხე ათწლეულებია ინარჩუნებს მოსახლეობას და მცირედ ზრდის ტენდენციასაც კი აჩვენებს).

7. დაჩქარდეს მუნიციპალიტეტებისთვის ქონების გადაცემისა და გამიჯვნის საკითხი, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს გაზარდონ ადგილზე ეკონომიკური აქტივობა, შესაბამისად, ადგილობრივი შემოსავლებიც.

8. საშემოსავლო გადასახადის წილის ადგილობრივ ბიუჯეტებში მიმართვა, სამართლიანი და გამჭვირვალე პრინციპის საფუძველზე.

9. მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი შემოსავლების და მოსაკრებლების ადმინისტრირების გაუმჯობესება და ცენტრისგან მეტი ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევა, სადაც ეს შესაძლებელია.

10. მეტი დამოუკიდებლობის პარალელურად, თვითმმართველობის საქმიანობის გამართულად ფუნქციონირებისა და რისკების გადაზღვევის თვალთაზრისით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამართული ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება, ტექნიკური, სამართლებრივი, ფინანსური და განსაკუთრებით კი აუდიტის კუთხით.

11. მუნიციპალური შიდა აუდიტის სამსახურის დეპოლიტიზაცია და მათი ეფექტურობის ამაღლება. პირველი ნაბიჯის სახით უნდა მოხდეს მათი მერის დაქვემდებარებიდან გამოყვანა, ისინი ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ საკრებულოს და არა მერის წინაშე (ამონმებენ უწყების მუშაობას და ექვემდებარებიან ამავე უწყების ხელმძღვანელს, რაც აბსურდულ სახეს იღებს).

12. სტუდენტების სტაჟირება მუნიციპალიტეტებში (განსაკუთრებით წარმოშობის შესაბამისად, ვისაც სურვილი და ინტერესი ექნება, რომ იმუშავოს თავის მხარეში), რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს ახალგაზრდა და კვალიფიციური პერსონალის რეზერვი შექმნას.

13. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტისთვის მიზნებისა და მათი შესრულების ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა (KPI). ახალ პარლამენტში აღარ იქნებიან მაჟორიტარები, შესაბამისად რეგიონული წარმომადგენლობითობის მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის, საჭირო იქნება ამ კომიტეტის ფუნქციების გადახედვა და გაძლიერება, რომელიც უნდა ასრულებდეს თვითმმართველობების ინტერესების დაცვასა და ლობირებას პარლამენტში.

## განათლება

**ძლიერი ქართული განათლება = ევროპულ განათლებას**

- ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურებზე;
- სახელისუფლებო და პარტიული წნეხისგან სისტემის გათავისუფლება რეალური დეცენტრალიზაციით და საზოგადოების თანამონაწილეობით;
- ევროპული სტანდარტის დამკვიდრება ყველასთვის - გამართული ინფრასტრუქტურით, დაფასებული პედაგოგიური პერსონალით, სასკოლო კვების სისტემის შექმნით და სტუდენტური საცხოვრისის უზრუნველყოფით.

### განათლების მნიშვნელობა

განათლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. მცოდნე, გამბედავ და ზნეობრივ მოქალაქეებს შეუძლიათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოებრივი და პირადი სიკეთის შესაქმნელად. განათლება საფუძველია ერის იდენტობის, კეთილდღეობის, მშვიდობიანი და სამართლიანი განვითარებისთვის. განათლება აუცილებელია პიროვნებისთვის საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ეთიკური თუ სხვა მიზნების მისაღწევად. ევროპული განათლების სისტემები იძლევა საუკეთესო ბალანსს ეროვნული, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ძლიერი საქართველოს მიზანია ევროპული გამოცდილების შესაბამისი, ბავშვზე ორიენტირებული, სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული ეროვნული განათლების სისტემის განვითარება საქართველოში.

დღეს პრობლემებია განათლების ყველა ქვე-სექტორში: სკოლებში, საბავშვო ბაღებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, სახელოვნებო ცენტრებსა თუ სასპორტო განათლებით დაკავებულ ორგანიზაციებში.

### გამოწვევები

**საქართველოს განათლების სისტემას აქვს ორი დიდი გამოწვევა**

#### ა) განათლების ხარისხი

სკოლის მოსწავლეები სასურველზე მნიშვნელოვან დაბალ შედეგებს აჩვენებენ ნებისმიერ ეროვნულ თუ საერთაშორისო კვლევაში, რომელიც მათ ცოდნასა და უნარებს ამოწმებს. დამსაქმებლები ჩივიან საუნივერსიტეტო პროგრამების კურსდამთავრებულების არასათანადო კომპეტენციებზე. საჯარო განათლების ხარისხით უკმაყოფილოა მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი და კერძო რეპეტიტორობით ან კერძო სკოლებში მიგრაციით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას. მიუხედავად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სიარულისა, ბავშვები მაინც არასაკმარისად მომზადებულები მიდიან სკოლაში. დაბალია კვლევითი ორგანიზაციების წარმადობა და საქართველოში ნაწარმოები ცოდნის საერთაშორისო გავრცელება. საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები, სასწავლო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო თუ სამუშაო სივრცეები ღარიბი, გაუმართავი და მოძველებულია.

## **ბ) განათლების ხელმისაწვდომობა**

განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება დარღვეულია როგორც ტერიტორიული (მაღალმთიანი, რეგიონალური), ასევე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ნიშნით. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ დედაქალაქსა და რეგიონებში ათეულობით სკოლა დახურულია გაჭიანურებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო და ბავშვებს შორ მანძილებზე, გადატვირთულ კლასებსა და მოუხერხებელ ცვლებში უნევთ გაკვეთილებზე დასწრება. ვითარებას სერიოზულად ართულებს სკოლის პერიოდში ბავშვთა დიდი ნაწილის შიმშილობის პრობლემა.

განათლების სფეროში ჩატარებული ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ქართველ ბავშვებსა და ახალგაზრდებს უკიდურესად არათანაბრად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, განსაკუთრებით კი ისეთ განათლებაზე, რაც მათ ან მათ მშობლებს ხარისხიან განათლებად მიაჩნიათ. მნიშვნელოვანია სხვაობა დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლის დასახლებებში მიღებულ განათლების შედეგებს შორის. ზოგადი განათლების სისტემა ვერ ახერხებს დასახული მიზნების მიღწევას. ეს გარემოება აიძულებს ოჯახებს საკუთარი სახსრებით შეავსონ სკოლაში მიღებული საგანმანათლებლო დანაკარგები, რაც სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით მაღალი ხარისხის უთანასწორობას წარმოშობს.

ეთნიკურ უმცირესობების ჯგუფებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ მომზადებაზე, კომპეტენტურ სასკოლო პედაგოგიურ კორპუსზე, გამართულ ინფრასტრუქტურაზე და შედარებით მაღალი ხარისხის საუნივერსიტეტო განათლებაზე. უნივერსიტეტების სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დროზე ადრე ანებებს სწავლას თავს განათლების მაღალი ხარჯების გამო.

## **მიზეზები**

*სახისხისა და ხედვისაწვდომობის ოხ უმნიშვნელოვანეს პირობებს იწვევს და აღიმავეს განათლების ახასწოხი პოდიტიკა. განათლების დღევანდელი პოდიტიკის პირობებია:*

**1) განათლების არადემოკრატიულობა, სისტემის პარტიულ ინტერესებზე დაქვემდებარება**  
განათლების სისტემა დაშორებულია საზოგადოების და ამის საპირისპიროდ დაქვემდებარებულია მმართველი პარტიის ინტერესებზე. სამწუხაროდ, ხელისუფლებებს მასწავლებელთა კორპუსი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა მათი საარჩევნო ინსტრუმენტად გამოყენება სურთ, რის გამოც ისინი მუდმივი ზენოლის ქვეშ იმყოფებიან. სწორედ ამის გამო მთლიანად პოლიტიზებულია და პოლიტიკურ პროცესშია ჩართული არა მხოლოდ სკოლები, არამედ ბაგა-ბალებიც. მმართველი პარტია საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით ლახავს საგანმანათლებლო დანესებულებების ავტონომიას, ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორებს, უნივერსიტეტების რექტორებს, საბავშვო ბალებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრების ხელმძღვანელებს. პარტიულ ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა ხელს უშლის პროფესიონალების შესაძლებლობების გამოყენებას განათლების პრობლემების მოგვარებაში, გრძელვადიანი, თანმიმდევრული პროგრამების დანერგვას, მტკიცებულებებსა და სამეცნიერო საფუძვლის მქონე გადანყვეტილებების მიღებას.

ბოლო 30 წლის განმავლობაში განათლების სფეროში განუწყვეტელი ცვლილებების მიუხედავად, მართვის საბჭოური პრინციპი „ზემოდან ქვემოთ“ კვლავ ძალაშია, რის გამოც ვერც სისტემა ვითარდება და ვერც შედეგი მიიღწევა. განათლების პოლიტიკის ვერტიკალური მართვა იწვევს განათლების მიღების პროცესში დემოკრატიულობის შეზღუდვასაც.

**2) ნაკლები ზრუნვა სოციალურ თანასწორობისა და კეთილდღეობის საკითხებზე**  
განათლების პოლიტიკა არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების უთანასწორო ფინანსურ და მატერიალურ შესაძლებლობებს, რომ ხარისხიანი განათლება მიიღონ. განათლების სფეროში მიღებული გადანყვეტილებების საფუძველი იშვიათად არის განათლების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების გააზრება. განათლების პოლიტიკა არ ითვალისწინებს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც მოსწავლეების

მშობლებსა და სტუდენტებს აქვთ, რაც მათ ხელს უშლის კონცენტრირებულები იყონ განათლების მიღებაზე. განათლების სფეროს მართვა არასათანადო ყურადღებას აქცევს საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებას და სახელმწიფოში მოქალაქეების სრულფასოვანი ინტეგრაციის საკითხს.

**3) რესურსების არასათანადო მობილიზაცია და ხარჯვა**

ერთი მხრივ, განათლების სფეროს, განსაკუთრებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება არ არის სახელმწიფოს პრიორიტეტი. მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელს არ უწყობს დამატებითი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების ისეთ მობილიზებას კერძო სექტორიდან, რაც სასწავლო დაწესებულებებისთვის სისტემური პრობლემების მოგვარების მეტ შესაძლებლობას გააჩენდა სასწავლო დაწესებულებებისთვის. განათლების ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია მოუქნელი და არაეფექტიანი ბიუროკრატიის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

**4) ახალი ცოდნის წარმოების არასაკმარისი წახალისება, ინოვაციური მიდგომების შეზღუდვა**

განათლების სფეროში პრიორიტეტულად არ მიიჩნევა ახალი სასწავლო მეთოდების, მართვის მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება. განვითარების წახალისების ნაცვლად, დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკით საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ავტონომია მნიშვნელოვნად იზღუდება. განათლებისა და მეცნიერების სისტემის გადაწყვეტილებები იშვიათად ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს. დაბალია სამეცნიერო კვლევების ხარისხი და მოცულობა. იშვიათად გამოიყენება მექანიზმები, რომლებიც განათლებიდან ეკონომიკაში ცოდნის ტრანსფერს და კერძო წარმოებასა და განათლების კავშირს შეუწყობდა ხელს.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემა ვერ იქცა ქვეყნის სიძლიერისა და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. მორღვეულია ბმა ქვეყნის უსაფრთხოებასთან, ეკონომიკასთან, თავდაცვისუნარიანობასთან, ჯანდაცვასთან, გლობალური და ადგილობრივი მასშტაბის ეკოლოგიურ მდგრადობასთან;

**5) განათლების მუშაკების არასათანადო განვითარება და დაფასება**

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებულია მასწავლებლის პროფესიული პრესტიჟის ეროზია, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მოქმედებების შედეგად. ყოველი რეფორმის წარუმატებლობის მიზეზად სახელდება მასწავლებელი. მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაიხარჯა სოლიდური თანხა, გავიდა საჭიროზე მეტი დრო, მაგრამ გაუაზრებელმა და არაეფექტიანმა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემამ, რომელიც სრულად მონოპოლიზებულია ერთი უწყების ხელში, სასურველი შედეგი ვერ მოგვცა.

**6) განვითარების ალტერნატივების სიმწირე**

საქართველოში პროფესიული განათლება დღეს ნაკლებად მიმზიდველია. მოსწავლეთა უმრავლესობა ცდილობს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში. ეროვნულ კლასიფიკატორში მოცემული კვალიფიკაციების სია მწირია და ძალიან შორს არის საერთაშორისო კვალიფიკაციების ჩამონათვალისგან. პროფესიული განათლება საზოგადოების მიერ ნაკლებად პრესტიჟულად აღიქმება. ასევე, მოსწავლეთა თუ მშობელთა ხედვით პროფესიული განათლება ერთგვარი სამუდამო განაჩენია, რომელიც სამომავლოდ გადაწყვეტილების შეცვლის გზებს კეტავს. პროფესიული განათლების მიმართ დადებითი განწყობის შექმნისთვის სკოლის ეტაპზე არაფერი კეთდება.

## ცვლილებისთვის მნიშვნელოვანი პრინციპები

იმისთვის, რომ ვითარება მუდმივად და რაც შესაძლებელია სწრაფად გაუმჯობესდეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ განათლების პოლიტიკა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს:

**განვითარება** - განათლების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს განვითარებისთვის, ერთი მხრივ, ხელისშემშლელი ბარიერების მოცილებისა და, მეორე მხრივ, განვითარებისთვის საჭირო წახალისების მექანიზმების დანერგვის პრინციპს. სისტემური გადამწყვეტილებები ხელს უნდა უწყობდეს განათლების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინებას და ამავდროულად უნდა ახალისებდეს ადგილობრივი ცოდნის, მიდგომების შემუშავებასა და დანერგვას. განათლების განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადობის პრინციპს, რომ მთავრობის შიგნით ან ხელისუფლებებების ცვლილების დროს არ ხდებოდეს განვითარების გზების სპონტანური ცვლილება.

**დემოკრატიულობა** - განათლების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების მაღალ ჩართულობის პრინციპს. განათლების პოლიტიკის გადამწყვეტილებები ფართოდ უნდა იყოს განხილული. უნდა შეიქმნას მექანიზმები პოლიტიკის მეტი გამჭვირვალობისთვის, პარტიული კონტროლის ჩარევებისგან მეტი თავდაცვისთვის.

**ინკლუზია** - განათლების პოლიტიკა მნიშვნელოვნად უნდა ითვალისწინებდეს განათლების სისტემის ბენეფიციარების ფიზიკურ, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა საჭიროებებსა და მისწრაფებებს.

**კეთილდღეობა** - სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს სწავლისა თუ კვლევის ისეთ პირობების შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის კეთილდღეობის (მათ შორის ჯანმრთელობის, სოციო-ემოციური კეთილდღეობის) გაზრდას.

**სოციალური როლის გაძლიერება** - განათლების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს განათლების პროცესის, საგანმანათლებლო ორგანიზაციების მეტ კავშირს საზოგადოებასთან, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული პრობლემების გადასაჭრელად.

**ხელმისაწვდომობა** - განათლების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პრინციპს, რომ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა ყველას ფუნდამენტური უფლებაა. პოლიტიკამ და შესაბამისმა მართვის პრინციპებმა საშუალება უნდა შექმნას საზოგადოების თითოეული წევრისთვის, რომ სრულფასოვნად, თანასწორად, შეფერხებების გარეშე ჩაერთოს განათლების მიღების პროცესში.

## „ძლიერი საქართველოს“ განათლების პოლიტიკის ინიციატივები

ქვემოთ ჩამოთვლილია ინიციატივები, რომელთა განვითარებასა და დანერგვაზე მუშაობა „ძლიერი საქართველოს“ გუნდს მნიშვნელოვნად მიაჩნია. თავდაპირველად ჩამოთვლილია საკვანძო ინიციატივები, ხოლო შემდეგ ის ინიციატივები, რომლებიც ასევე სასურველია, რომ განათლების სისტემაში დაინერგოს.

## განათლების პოლიტიკის ძირითადი ინიციატივები

- განათლების სისტემის პარტიული კონტროლისგან გათავისუფლება სამინისტროს საზედამხედველო საბჭოსა და განათლების სიტემაში მოქმედი პირებისა და ორგანიზაციების პოლიტიკაში ჩართვის რეგულაციების შემუშავების გზით.
- ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბალების რაოდენობის ზრდა.
- სასკოლო კვების პროგრამის ამუშავება.
- სტუდენტური საცხოვრებლების აშენება და ამოქმედება, სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მხარდაჭერის სისტემების განვითარება.
- კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვა და განახლება.
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

## სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები

### სკოლამდელი

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ანაზღაურების ზრდა.
- საბავშვო ბალების ავტორიზაციის პროცესის გამართვა და აღმზრდელ-პედაგოგთა სერტიფიცირება.
- საბავშვო ბალებისა და სკოლების ინტეგრირება სკოლამდელი მომზადების პროგრამების შემოღებით სკოლების შენობებში, განსაკუთრებით იმ დასახლებებში, სადაც საბავშვო ბალები არ არის.
- საბავშვო ბალებში აღზრდის, თამაშის, სოციო-ემოციური განვითარების მიმართულების გაძლიერება.

### ზოგადი განათლება

- სკოლების განვითარების ფონდის ჩამოყალიბება (სასკოლო გრანტების შემოღება, გამოფენების მოწყობა, ბიზნესის ჩართვა, ტრენინგები, რესურსების განვითარების ხელშეწყობა).
- სკოლების დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა.
- სკოლებში სასპორტო და სახელოვნებო განათლების გაძლიერება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ღონისძიებების ხელშეწყობა ყველა სკოლაში.
- სკოლებში მოხალისეობის დანერგვა (პროექტული სწავლება, საზაფხულო სკოლები, ბანაკები, სათემო განვითარება/დახმარების პროექტები).
- საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების საგნების გაძლიერებული პროფილის სკოლების და პროგრამების ხელშეწყობა.
- სკოლების ღია, სათემო ორგანიზაციებად ჩამოყალიბება, სადაც ადგილობრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შეეძლება მათი სივრცეების არასასკოლო დროს თავისუფლად გამოყენება.
- სკოლების „დეპოლიტიზაციისთვის“: სკოლის დირექტორების შერჩევის სისტემის ცვლილება (ცენტრალურ დონეზე გასაუბრების ეტაპის გაუქმება).
- კონტროლის პალატის განათლების სფეროზე ზედამხედველობის როლის გაძლიერება.
- მუნიციპალიტეტების ჩართვა სკოლების მართვაში დაფინანსების წილის ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინების გზით.

- მასწავლებლების სისტემაში შემოსვლის (საუკეთესო ახალგაზრდების მოზიდვა და მხარდაჭერა), პროფ. განვითარების და ღირსეულად გასვლის (საპენსიო ასაკის მასწავლებლების მხარდაჭერა + თანდათან გასვლა სისტემიდან) პროგრამის ამუშავება.
- განათლების სფეროში მომუშავე პერსონალის ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება.
- სკოლების ავტონომიის დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვა. ავტორიზაციის სისტემების ოპტიმიზაცია კერძო სკოლებისთვის მეტი ავტონომიის უზრუნველყოფისთვის.
- დისტანციური სწავლების განვითარება - მასწავლებლების დეფიციტის შესავსებად და სასკოლო პროგრამების მრავალფეროვნების გასაზრდელად საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებზე) მცხოვრები მოსწავლეებისთვის და ასევე ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობისთვის.
- მასწავლებლების მომზადების პროგრამების განვითარება საუნივერსიტეტო ბაზაზე.
- თავისუფალი (საავტორო) საჯარო სკოლების ქსელის ჩამოყალიბება
- სკოლებისთვის ფონდების მოზიდვის ინსტრუმენტების და პროცედურების დარეგულირება. სკოლებისთვის საბანკო სერვისების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა.
- უცხო ენის უცხოელი მასწავლებლების შემოყვანის პროგრამის ამოქმედება.
- საქართველოს სკოლებს შორის მოსწავლეების გაცვლის პროგრამების ამუშავება.
- სკოლის ფსიქოლოგების სერვისების მოცვისა და ხარისხის გაზრდა.
- საგანმანათლებლო ექსპურსიებისა და სხვა არასაგაკვეთილო აქტივობების მხარდაჭერა და დაფინანსება/თანადაფინანსება.
- მასწავლებლების ხელფასების საათებზე დაფუძნებული ფორმულის ნაცვლად განაკვეთებზე (სრული, ნახევარი) დაფუძნებული, ინფლაციის გათვალისწინებით, განვითარებაზე ორიენტირებული ფორმულის შემუშავება. ასევე, სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასების ზრდაზე ზრუნვა.
- რეგიონის სკოლების ინფრასტრუქტურის თანამედროვე სასკოლო ინვენტარითა და დანადგარებით აღჭურვა.
- სასწავლო ტექნოლოგიური პლატფორმების, ვირტუალური ლაბორატორიების ჩამოყალიბება ყველა საგნისა და კლასისთვის.

## უმაღლესი განათლება

- აკადემიური თავისუფლების, უნივერსიტეტების ავტონომიის გაძლიერება ტენურის სისტემის, და ტენურირებული აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო მართვაში ჩართვის გაძლიერებით.
- ჰიბრიდული (დისტანციური/პირისპირ) სწავლის დანერგვა, უცხოეთში მყოფი აკადემიური პერსონალის ჩართვით რეგიონული და ასევე თბილისის უმაღლესების გასავითარებლად.
- უცხოეთში მომუშავე სამეცნიერო და აკადემიური პოტენციალის მოზიდვის პროგრამების ამუშავება.
- აკრედიტაციის არასახელმწიფო სისტემის ამუშავება.
- უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის: კურსების/სტუდენტების გაცვლის, კრედიტების მიმოცვლის სისტემის ამუშავება.
- პოსტსაბაკალავრო საფეხურებს შიგნით მობილობა (დოქტორანტებისთვის სამაგისტრო საფეხურის კურსების გავლის შესაძლებლობის გაჩენა)
- სასწავლო ლიტერატურის და სხვა რესურსების თარგმნის პროგრამის ამოქმედება.
- სახელმწიფო უნივერსიტეტების არამომგებიანი იურიდიული პირების მართვის რეჟიმზე გადასვლა (მოქნილი შესყიდვები, ქონებისა და პერსონალის შედარებით მარტივი მართვა და ა.შ.).

- უმაღლესი განათლების დაფინანსების შერეული, გრძელვადიან კონტრაქტებზე დაფუძნებული მოდელის ამოქმედება: პიროვნების მოპოვებული გრანტი + სახელმწიფო უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსება + ბლოკ გრანტები (პროგრამების განვითარებისთვის) + კერძო დაფინანსება.
- სტუდენტური სასწავლო გრანტების სისტემაში საჭიროებებზე დაფუძნებული გრანტების მოცულობის გაზრდა.
- უნივერსიტეტებში მიღების შერეული მოდელის ამუშავება (მაგ. ზოგან მხოლოდ გამოცდებით, ზოგან დამატებითი კრიტერიუმებით ე.წ. პორტფოლიოს მეშვეობით მიღება, მისაღები პროცედურების აკრედიტაციის საფუძველზე).
- 1+4 პროგრამის ამოქმედება ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ მისაღები კრიტერიუმების მინიმალური ბარიერის დაძლევას. საგამოცდო ბარიერის აწევა + მოსამზადებელი 1 - წლიანი კურსის შექმნა უნივერსიტეტში მათთვის, ვინც მზაობას ვერ აჩვენებს.
- საუნივერსიტეტო განათლების სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დაბალკრედიტიანი სესხების სისტემის ამუშავება.
- სტუდენტური დაზღვევა და სხვა ტიპის სოციალური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.
- უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთათვის 6-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების (პირველი სამსახურის) უზრუნველყოფა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.
- უნივერსიტეტების დაკავშირება სათემო/საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებასთან (კვლევების დაკვეთა სახელმწიფოს მხრიდან, პრაქტიკის კვლევების წახალისება: მაგ. სკოლისა და უნივერსიტეტის კავშირი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში).
- აკადემიურ დანესებულებებში ახალგაზრდა მეცნიერთა მოსაზიდად სახელმწიფო საგრანტო პროგრამების გაფართოება, მათ შორის, პოსტდოქტორულ მკვლევართა ხელშესაწყობად. უცხოეთში სწავლადამთავრებული ახალგაზრდების სამშობლოში დასაბრუნებლად და კარიერული დამკვიდრების ხელშეწყობი პროგრამების დანერგვა და განვითარება.
- უნივერსიტეტის დაფინანსებაში - სპონსორების, განვითარების ფონდების შექმნა (endowment), მუნიციპალური დაფინანსების შემოტანა.
- კვლევების დასაფინანსებლად სამი პარალელურად მოქმედი მექანიზმის შემოღება: გრძელვადიანი „საბაზო“ (პროგრამული), მოკლევადიანი „საგრანტო“ და შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება.
- აკადემიურ სივრცეში ტექნო და სამეცნიერო პარკების გასავითარებლად შეიქმნება წარმატებულ უცხოელ მენარმეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სათანადო სამართლებრივი და საგადასახადო გარემოს შექმნა.
- დოქტორანტების სასტიპენდიო დაფინანსების სისტემის ჩამოყალიბება.
- უნივერსიტეტების ერთობლივი კვლევითი და თანამშრომლობითი გრანტების შემოტანა.

## პროფესიული განათლება

- ზოგადი განათლების სისტემაში პროფესიული ორიენტაციის (კონსულტაციის) პროგრამების ამუშავება.
- პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია (პრესტიჟის ამაღლების კამპანია).
- პროფესიებთან (დასაქმებასთან) დაკავშირებული კვლევების წარმოება და კვლევის შედეგების პოპულარიზაცია.
- პროფესიული პროგრამების გაძლიერება უნივერსიტეტებისა და სკოლების ბაზაზე.
- პროფესიული სასწავლებლების აღჭურვის პროგრამის ამოქმედება.

- პროფესიულ პროგრამებზე მიღებული ცოდნის/კრედიტების აღიარების სისტემის დახვეწა.
- დუალური განათლების ფინანსური მხარდაჭერა (დამსაქმებლების ფინანსური მხარდაჭერა).

## მეცნიერება

- ჰარნაკის პრინციპზე დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტების სისტემის შემუშავება და დანერგვა (ტენურის პრინციპის ჩათვლით).
- კვლევის მონაცემების რეპოზიტორის შექმნა.
- კვლევის მონაცემთა დამუშავების და მართვის სისტემების გამართვა და განვითარება უნივერსიტეტებში (ელ.სისტემა, ეთიკის კომისიების ამუშავება).
- სტუდენტთა კვლევითი პროექტების დაფინანსების ზრდა.
- ადგილობრივი მთავრობის, ბიზნესისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობითი კვლევითი პროექტების ხელშეწყობა.
- ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება.
- საერთაშორისო კოლაბორაციების ხელშეწყობა (საგრანტო პროგრამები).
- ლაბორატორიების აღჭურვის პროგრამის ამოქმედება.
- საჯარო ფინანსებით შეგროვებული მონაცემებზე დაშვების გამარტივება და ხელმისაწვდომობის ზრდა საჯარო სამსახურების მიერ (მათ შორის არქივები).
- კვლევითი ასოციაციებისა და მათი სამეცნიერო ჟურნალების შექმნისა და განვითარების წახალისება.
- კავკასიოლოგიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულების ხელშეწყობა საგრანტო და სასტიპენდიო პროგრამებით.
- საერთაშორისო ურთიერთობების არსენალში ობიექტური სამეცნიერო პლატფორმის შექმნა რუსეთის საინფორმაციო აგრესიის გასანეიტრალებლად; მიზნობრივი საერთაშორისო საგრანტო პროგრამების ამოქმედება რუსეთთან და კავკასიის ერებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ კვლევების ხელშეწყობისთვის.
- მიზნობრივი დაფინანსების შემოღება სასწავლო ონლაინრესურსების, ენობრივი რესურსების შესაქმნელად, ენათა ტექნოლოგიზაციისათვის, როგორც სახელმწიფო ენების: ქართულისა და აფხაზურის მიმართ, ისე ქართველური ენებისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების გასაძლიერებლად.

## არაფორმალური განათლება

- მუნიციპალიტეტის დაფინანსებული ზედასხულთა კუხსების დანერგვა (ენის, მოკლე პროფესიული, ინტეგრის სფეროს მიხედვით კუხსები) (გეიმანური/ფინუხი ახაფოხმადუხი განათლების ცენტრების მაგადითზე).
- სათემო შეკრებების სივრცეების (მედიათეკების) და სპოხტუდი ცენტრების (მუნიციპალუხი აუზები, კოხტები, მოედნები) განვითარება.
- ახაფოხმადუხი განათლების აღიარების სისტემის განვითარება.
- ახაფოხმადუხი სპოხტუდი და სახედოვნებო განათლების სეხვისების ზიდა, სახედოვნებო სკოდების პეხსონადის მხარდაჭეხის სეხვისების გაძდიეხება, ანაზლაუხების ზიდა.

## ზოგადი ინიციატივები

- საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება შშმ პირებისთვის ყველა საფეხურზე.
- განათლების დაფინანსების ზრდა:
- საჯარო რესურსების 15%-20% (უკანასკნელი მონაცემებით ~ 8.49%)
- მშპ 4%-6% (უკანასკნელი მონაცემებით ~ 3.29%)
- კვლევების დაფინანსების ზრდა
- მშპ 1% (უკანასკნელი მონაცემებით ~ 0.25% )

## „ძლიერი საქართველო“ ქალებისთვის

### შემოქმედებითი საქაჩთვედო - ძლიერი საქაჩთვედო ევროკავშირში

- ქართული კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება პროფესიული წრეების ჩართულობით, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, დაფინანსების გამჭვირვალე მოდელების, საკანონმდებლო გარანტიებისა და აღსრულების მექანიზმების შექმნის საფუძველზე;
- კულტურა ყველასთვის - შემოქმედებითი ეკონომიკის სტიმულირებით და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით ქვეყნის მასშტაბით;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შექმნა სამეცნიერო წრეების ჩართულობით, მაღალი

### ძლიერი, შემოქმედებითი საქაჩთვედო

„ძლიერი საქაჩთვედოს“ კულტურის პოლიტიკის ხედვა დაფუძნებულია შემდეგ ღიხებუღებებზე და პიხინციპებზე:

- ქართული კულტურა - საქართველოს სახელმწიფოებრიობის საყრდენი, თავისუფალ სამყაროში, თავისუფალ ხალხებს შორის ღირსეული, წარმატებული და თანასწორი თანაარსებობის საფუძველია;
- ევროკავშირში საქართველოს განვრიანების გზაზე ქართული კულტურის როლი განმსაზღვრელია;
- შემოქმედებითი პროცესი - შემოქმედებითი გამოხატვის ფორმები და შინაარსი - უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ხელისუფლების გავლენისგან, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველები;
- ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს კულტურის სფეროს განვითარებისთვის თავისუფალი და ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა და სახელოვნებო ინსტიტუციების დამოუკიდებლობის და განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფა;

ჩვენ გვჭირდება კულტურის ახალი სტრატეგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავატაროთ მყისიერი და ეფექტური ღონისძიებები და შევქმნათ სათანადო გარემო, სადაც ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს თვითგამოხატვის საშუალება და შემოქმედებით სფეროში მიმდინარე პროცესებზე აქტიური წვდომის შესაძლებლობა მიეცემა. ჩვენ გვჭირდება კულტურის ახალი სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება სფეროში არსებული გამოწვევების ანალიზს, საერთაშორისო გამოცდილებას და ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

კულტურის განვითარების ხედვა და სტრატეგია შეუძლებელია შემუშავდეს ქვეყანაში დემოკრატიული გარემოს არქონის პირობებში, რადგანაც კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება და წარმატება სრულად არის დამოკიდებული თავისუფალ შემოქმედებით პროცესზე, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაზე, თანასწორობაზე და მრავალფეროვნებაზე. ხოლო, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების და ხედვების არ არსებობა დარგების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის დამაბრკოლებელი ფაქტორებია.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა სისტემაში გადანყვეტილებების მიღების, დაფინანსების და საკადრო პოლიტიკის გაუმჭვირვალობა და კულტურის სამინისტროს მიერ პროცესების და პროგრამების ცენტრალიზებულად მართვა. ბიუროკრატიული ბარიერები და პროცედურები უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების, ასევე დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, შემოქმედებითი ჯგუფების და ხელოვანების საქმიანობაზე სახელმწიფოს მიერ დარგობრივად გამოყოფილი დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით.

სახელოვნებო, საგანმანათლებლო და კვლევით საბიუჯეტო ორგანიზაციებში და კულტურის სამინისტროში პროფესიული კადრების ნაკლებობა, სისტემიდან პროფესიონალების მიმართ განხორციელებული რეპრესიები პირდაპირპროპორციულად აისახება კულტურის სფეროზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და შემოქმედებითი პროცესების განვითარების პოზიტიურ დინამიკაზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულება უნდა აისახოს ყველა დარგის განვითარების ხედვაში - იქნება ეს ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, საგარეო ურთიერთობები თუ სხვა. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის პასუხისმგებლობის გადანაწილებას ქვეყნის მართვის ყველა დონეზე: ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე პროფესიულ ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის ამოცანაა, ყველას გააგებინოს მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ღირებულება, მაქსიმალურად ჩართოს მოქალაქეები მისი შენარჩუნებისა და განვითარების პროცესში, რაც პირდაპირ კავშირშია მართვის გამჭვირვალობასა და ქვეყნის დემოკრატიზაციასთან.

### **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა გულისხმობს:**

- მემკვიდრეობის მრავალფეროვნების წარმოჩენას და დაცვას;
- პროფესიული ინსტიტუციების გაძლიერებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში სხვადასხვა უწყების პასუხისმგებლობის ამაღლებას;
- მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებული დარგების დეპოლიტიზირებას;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნებისთვის ფინანსური წყაროების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას;
- ადგილობრივი თემისთვის ხელშესახები სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მომტანი სპეციალური პროგრამების შემუშავებას მემკვიდრეობის ძეგლებსა და ისტორიულ გარემოზე დაყრდნობით;
- კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას: ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რატომ და როგორ უნდა მოვუაროთ მემკვიდრეობას, რა შეიძლება მოგვითხროს ამა თუ იმ ძეგლმა და რა შეიძლება შეგვძინოს მისმა მოვლა-პატრონობამ;
- კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოქალაქეთა ინფორმირებულობას და წვდომას: ხელმისაწვდომობის გარეშე ვერ განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის სოციალური ფუნქცია.

## 9 ნაბიჯი ძლიერი, შემოქმედებითი საქართველოსთვის

- ქართული კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება პროფესიული წრეების ჩართულობით ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, დაფინანსების გამჭვირვალე მოდელის, საკანონმდებლო საფუძვლების გაუმჯობესებისა და აღსრულების მექანიზმების შექმნის საფუძველზე;
- კულტურის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების რეფორმა და დარგობრივი მხარდაჭერის ინსტიტუციების შექმნა/გაძლიერება;
- კვლევებზე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით დარგობრივი სტრატეგიული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება სფეროს ექსპერტების აქტიური ჩართულობით;
- თვითმმართველობების როლის და დამოუკიდებლობის გაზრდა შემოქმედებითი ინდუსტრიების და სახელოვნებო პროცესების განვითარებაში და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში;
- კულტურა ყველასთვის - შემოქმედებითი ეკონომიკის სტიმულირება ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით ქვეყნის მასშტაბით;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად საგანგებო სახელმწიფო პროგრამის შექმნა სამეცნიერო წრეების ჩართულობით და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის და ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით;
- კვლევითი და სამეცნიერო ინსტიტუციების გაძლიერება და ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების მოზიდვა;
- საერთაშორისო სტანდარტის სახელოვნებო განათლების სისტემის შექმნა და ტექნიკური და ინფრასტრუქტურული გაძლიერება;

- საზღვრებს გარეთ ქართული კულტურის პოზიციონირების ხარისხის გაზრდა და გაძლიერება; საქართველოს მსოფლიო კულტურულ პროცესებში აქტიური თანამონაწილეობა და კონკურენტულ გარემოში პოზიციონირებისთვის სფეროში შესაბამისი რესურსების განვითარება.

## **სტრუქტურული რეფორმა**

კულტურის სამინისტროს როლი უნდა შემოიფარგლებოდეს საქართველოს მთავრობასთან კულტურის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღებით და კულტურის სფეროს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვით და ადვოკატირებით.

კულტურის სამინისტრო არ უნდა მონაწილეობდეს შემოქმედებითი პროცესების წარმართვაში, არამედ უზრუნველყოფდეს თავისუფალ, თანასწორ, ხელმისაწვდომ და სამართლიან გარემოს როგორც მისდამი სტრუქტურულად დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის, ასევე დამოუკიდებელი შემოქმედებითი ჯგუფებისთვის, ხელოვანებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის.

კულტურის პოლიტიკის და შესაბამისი დარგობრივი სტრატეგიული პროგრამების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია კულტურული საბიუჯეტო ორგანიზაციების მეტი დამოუკიდებლობა, მართვის დემოკრატიული მოდელების დანერგვა, ბიუროკრატიის შემცირება, „ვერტიკალური“ მმართველობის სისტემის „ჰორიზონტალური“ სისტემით ჩანაცვლება, რაც შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობას მეტად გაზრდის.

ამავდროულად, სახელოვნებო სფეროს პროგრამული დაფინანსების სრულად დელეგირება დარგობრივი ფონდებისთვის სფეროს დამოუკიდებელი აქტორებისთვის (შემოქმედებითი ინდუსტრიები, საინიციატივო ჯგუფები, ხელოვანები) კონკურენტულ გარემოში დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას შეუწყობს ხელს.

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ორგანიზაციების და შემოქმედებითი ჯგუფების და ინიციატივების მხარდაჭერა:

### **● სახელმწიფო ორგანიზაციები**

სახელმწიფო სახელოვნებო ორგანიზაციების თანამონაწილეობით შესაბამისი დახმობიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება ორგანიზაციების წინაშე ახსებუდი გამოწვევების იდენტიფიცირების და გადაჭრის გზების განსაზღვრის საფუძველზე (თეატრები, მუზეუმები, მუსიკალური ცენტრები, ანსამბლები, სახელოვნებო განათლების ორგანიზაციები, სხვა კულტურულ-სამეცნიერო ორგანიზაციები).

### **● დარგობრივი ფონდები**

სახელოვნებო დახმების და დამოუკიდებელი შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობის მიზნით დახმობიანი ფონდების დაფუძნება მაჩთვის დემოკრატიული და გამჭვირვალე მოდელებით. პიოფესიული და საექსპეჩიგო წიხების ჩაჩთულობით მმაჩთვედი ორგანოების შექმნა (სამეთვარყუეო საბჭოები და აღმასხულებელი ხგოლები). ფონდების მაჩთვა უნდა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოების მხიდან საჩგებდობდეს მაღადი ნდობით. ფონდების მხიდან სფეხოების მხაჩდაჭეჩის პიოგჩამები უნდა განხოჩციედდეს ღია კონკუხსების მეშვეობით, ხომედთა შინააჩის განისაზღვჩება სფეხოების წინაშე აჩსებუდ გამოწვევებისა და სახელმწიფოს მიეჩ განსაზღვჩუდ პიოჩიჩგეცების შესაბამისად

- **კინემატოგრაფიის ეხოვნური ცენტრი:** ფიდმწახმოების, პიროექტების განვითარების, სცენარების განვითარების, პოსტპროდუქციის, სამოგზაურო გეგმების გაცემის, კინოდისტრიბუციის და კინოგანათლების მიმართულებების ხელშეწყობა, ქართული კინოს პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ; ფესტივალების მხარდაჭედა;
- **წიგნის და დიგეიტალიზაციის ხელშეწყობის ფონდი:** დიგეიტალიზაციის და საგამომცემლო პირობების ხელშეწყობა, მთარგმნელობითი პირობების განხორციელება, ადგილობრივი და საერთაშორისო საფესტივალო პირობების მხარდაჭედა, ბიბლიოთეკების მხარდაჭედა, კითხვის პოპულარიზაციის პირობების მხარდაჭედა;
- **საშემსუბუქებელი ხელოვნების განვითარების ფონდი:** საშემსუბუქებელი სახელოვნებო სფეროს დახმების ხელშეწყობა (მუსიკა, თეატრი, ცეკვა) და განვითარება, ფესტივალების მხარდაჭედა, სახელოვნებო პირობების ინიცირება, სამოგზაურო გეგმების და სტიპენდიების პირობების განხორციელება;
- **ვიზუალური ხელოვნების განვითარების ფონდი:** თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭედა, საგანმანათლებლო პირობების განხორციელება, ფესტივალების მხარდაჭედა, სახელოვნებო პირობების მხარდაჭედა, საერთაშორისო საფესტივალო პირობებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- **შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ფონდი:** უჩბანუდ, გეგმური დიზაინის, აქტივაციების, მოდის და სხვა სფეროების ინიცირაციების მხარდაჭედა, ინოვაციების და ინტეგრაციის ინიცირაციების მხარდაჭედა, მეწახმოების განვითარების მხარდაჭედა.

**#ხელოვნებაცოცხალიდადამოუკიდებელია**

**სპორტი**

**საქართველო - ჩემპიონების ქვეყანა**

- მასობრივი სპორტის განვითარება; ხელმისაწვდომი სპორტული კომპლექსები და აუზები ყველა დიდ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში;
- დიდი საფეხბურთო კლუბების აკადემიების გახსნა საქართველოში (წალენჯიხის „იუვენტუსის“ მაგალითზე);
- მოსწავლეებისთვის ცურვის, სამთო-სათხილამურო სპორტის გაკვეთილების დანერგვა; საცხენოსნო და ალპინისტური კლუბების ხელშეწყობა.

ხელისუფლებაში მოსვლიდან 5 წლის განმავლობაში, სახელმწიფო გაატარებს ღონისძიებებს, რათა ყველა სპორტული ორგანიზაცია გადავიდეს თვითდაფინანსების რეჟიმზე, ამ მიზნით:

- სპორტულ ფედერაციებს გადაეცემათ სტადიონები და სპორტული ნაგებობები.
- სპორტული ორგანიზაციები ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით, რათა მოხდეს სექტორის სტიმულირება.
- საჭიროების შემთხვევაში, სპორტულ ორგანიზაციებს სიმბოლურ ფასად გადაეცემათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რათა ინვესტორებს გაუჩინოთ დამატებითი ინტერესი.
- ყველა მუნიციპალურ ცენტრში გაიხსნება საცურაო აუზი

## თანასწორობა

### კონსტიტუციიდან ხეაღობამდე

- კანონის წინაშე ყველა ადამიანი იქნება თანასწორი;
- არადომინანტური ჯგუფების უფლებები იქნება დაცული;
- კონსტიტუციური თანასწორობა გახდება რეალური

## ეთნიკური უმცირესობები

### მრავალეთნიკური ძლიერი საქართველო

- პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობით უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდა გადანყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში;
- ქართული ენის სწავლების გაძლიერება და ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფო დაფინანსებით და მრავალფეროვანი სერვისების მიწოდებით;
- მრავალეთნიკური რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება საერთო ეროვნული ღირებულების მინიჭებით.

● სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემა - ქვეყანაში არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და სოფლებში, ბევრად ნაკლებია სკოლამდელი დაწესებულებები (საბავშვო ბაღების რიცხოვნობა), ვიდრე ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. გარდა პანკისისა, თითქმის ყველა რეგიონში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, გამონკვევია სახელმწიფო ენის სწავლებისა და სწავლის საკითხი. აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში ბავშვებს პირველი შეხება სახელმწიფო ენასთან აქვთ სკოლის ასაკში. ამასთან, დღეს არსებული ბილინგვური სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე სწავლას. მოსახლეობის განმარტებით, მათ სკოლის დასრულებისას უკეთ იციან ინგლისური ენა, ვიდრე ქართული,

რაც განპირობებულია არასათანადოდ შედგენილი სახელმძღვანელოებით. შესაბამისად, სახელმწიფო პრიორიტეტი უნდა იყოს, რომ ამ რეგიონებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უფრო მრავლად არსებობდეს, რათა ბავშვებმა შეძლონ მცირე ასაკშივე აითვისონ ქართული.

- **სამელიორაციო და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მონყობა** - განსაკუთრებით ქვემო ქართლში ოჯახები სრულად დამოკიდებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე. სოფლად სასმელი თუ სარწყავი წყლის არარსებობა, უპირველესად, აისახება ქალებსა და ბავშვებზე. ქალებსა და ბავშვებს უწევთ მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე კილომეტრის გავლა, რათა სახლში მიიტანონ სასმელი წყალი, რაც შემდგომ მათ ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში სრულად გამორიცხავს, თავად ოჯახებს კი ბევრად უფრო მეტი შრომა უწევთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოსაყვანად იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს გამართული სამელიორაციო სისტემა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაგალითად, მარნეულში წლების განმავლობაში ტენდერში იმარჯვებდა კომპანია, რომელიც არასდროს არ ასრულებს ბოლომდე დაკისრებულ ვალდებულებებს და არაერთ სოფელს არ მიეწოდება სარწყავი თუ სასმელი წყალი.
- **მინის საკითხის დარეგულირება** - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განსაკუთრებით პრობლემურია მინის არასამართლიანი გადანაწილების საკითხი, გლეხების დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო მინის გარეშეა დარჩენილი, ხოლო იჯარით აღებული მინის საფასური სცდება ლოგიკურობის ფარგლებს. პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ საჭიროებს საგანგებო შესწავლას.
- **კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა** - სოფლების დიდ ნაწილში არ არსებობს არანაირი კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ახალგაზრდებს მიეცემათ სკოლის გარე აქტივობებში ჩართვისა და განვითარების შესაძლებლობა. შესაბამისად, სულ მცირე მოძრავი ბიბლიოთეკის იდეა რომ განახორციელოს მუნიციპალიტეტმა, უკვე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ახალგაზრდების ცხოვრებაში.

**ჩვენი გეგმა**

- **1+4 პროგრამაზე ქართულის უფასოდ სწავლა და სახელმწიფოს მიერ უფასოდ გამოცხადებულ ფაკულტეტებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების უფასოდ სწავლების უზრუნველყოფა;** ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციის ქვეშ არსებული 1+4 პროგრამის სტაჟირების პროგრამის მიზნებში, საჯარო სამსახურში დასაქმების კომპონენტიც გაჩნდეს.
- **ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში აქტიურად დაიწყოს საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესი;**
- **ეთნიკური უმცირესობები დასახლებულ რეგიონებში, სადაც გამონვევაა სახელმწიფო ენის ცოდნა, მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს შესთავაზოს სათარჯიმნო სერვისი, განცხადებების შეტანისა თუ სხვა ტიპის კომუნიკაციის პროცესში;**

- ბორჩაღური ხალიჩის არამატერიალური ძეგლის სტატუსის მიცემა და დაცვის მექანიზმები/პროგრამების შექმნა;
- ნოვრუზ-ბაირამის უქმე დღედ გამოცხადება - რაც წარმოადგენს სოლიდარობისა და სახალხო დღესასწაულის სიმბოლოს და რომლის აღიარებასაც სახელმწიფო დონეზე წლების განმავლობაში ითხოვს აზერბაიჯანული თემი;
- საზი-ს - როგორც ადგილობრივი ეთნო ინსტრუმენტის პოპულარიზაცია და კულტურის სამინისტროს პროგრამებში აშუღების ჩართვა. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საზი-ს მუსიკალური წრეების დაფინანსება და აშუღების გაძლიერება.
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხელმისაწვდომობის სამართლიანი მექანიზმების შექმნა.

### **აფხაზი და ოსი თანამემამულეებისათვის**

ანაკლიის თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ერგნეთის სავაჭრო ზონა გახდება საქმის ერთად კეთების ცენტრები. ასევე, აფხაზებს და ოსებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაერთონ ყველა დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტში.

უმნიშვნელოვანესია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაშიც ოკუპანტი ხელს ვერ შეგვიშლის და რაც გამთლიანების სახელმწიფო პოლიტიკის ურყეობის მკაფიო დემონსტრირება იქნება. ასეთი ნაბიჯია სახელმწიფოებრივი ზრუნვა საქართველოს მეორე სახელმწიფო ენაზე - აფხაზურზე. მაგალითისთვის, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს დაევალებათ მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის აფხაზურ ენაზე გავრცელება. ხელი შეეწყობა ლიტერატურული ნაწარმოებების აფხაზურ ენაზე თარგმნას.

ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპარეზზე არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა.

- „ძლიერი საქართველო“ შექმნის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პირდაპირი დიალოგის ისეთ სტატუს-ნეიტრალურ ფორმატებს, რომლებიც უზრუნველყოფს საჭიროებებზე ორიენტირებულ საუბარს კულტურის, განათლების, ეკოლოგიის და ჯანდაცვის საკითხებზე;
- საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის მინოდებისა და რუსული პროპაგანდის განეიტრალების მიზნით, შეიქმნება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამების გაფართოება;
- გაძლიერდება ზრუნვა მეორე სახელმწიფო ენაზე - აფხაზურზე;
- ეთნიკურად აფხაზი და ოსი აბიტურიენტების ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში.

- განსაკუთრებულ პირობებში შრომის გათვალისწინებით, გალისა და ახალგორის რაიონების პედაგოგებსა და სამედიცინო პერსონალს, დანარჩენ საქართველოში მომუშავე კოლეგებთან შედარებით, უფრო მაღალი ხელფასი დაენიშნებათ;
- გალისა და ახალგორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა ჯგუფები, უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ;
- უსაფრთხოებითი მიზნებისთვის, საოკუპაციო-გამყოფი ხაზების გასწვრივ (განსაკუთრებით დასახლებულ ადგილებში) დამონტაჟდება ვიდეოთვალთვალის სისტემა.

**ახალგაზრდობა**

*საქართველო - ახალგაზრდობისთვის  
 შესაძლებლობის ქვეყანა*

- **კურსდამთავრებულთათვის 6-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთთანამშრომლობით;**
- **სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა სამენარშეო საქმიანობის ხელშეწყობითა და საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლებით; პროფესიული, საგანმანათლებლო სერვისცენტრების დაფარვის გაზრდა რეგიონებში;**
- **საჯარო სექტორის ეტაპობრივი და უმტკივნეულო გაახალგაზრდავება გამჭვირვალე და ობიექტური საკონკურსო პირობებით, ულიტური კორუფციისა და ნეპოტიზმის პრევენციით.**

**საქართველო ახალი შესაძლებლობების სახელმწიფო:**

ახალგაზრდები არიან საზოგადოების ის ჯგუფი, რომელსაც შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ქვეყნის, როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდები იყვნენ დამოუკიდებლები და სრულად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ განათლების, დასაქმების პრობლემები, რომელსაც თან ერთვის ფინანსური და სხვა სირთულეები, აფერხებს მათ განვითარებას და თავის დამკვიდრებას ქვეყანაში.

„ძლიერ საქართველოს“ აქვს კონკრეტული ხედვა, რომელიც ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

● **6-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება**

„ძლიერი საქართველოს“ ინიციატივაა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობით, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ყველა სტუდენტმა შეძლოს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლა საჯარო, ან კერძო სექტორში, სადაც სწავლება იქნება უზრუნველყოფილი და მათი შრომითი უფლებები დაცული.

## ● **საჯარო სექტორის გაახალგაზრდავება**

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, საჯარო სამსახურში გამჭვირვალე და ღია კონკურსის პირობებში, კვოტირებით (მოისაზრება 20%) სამსახუროებრივ პოზიციებზე დაინიშნონ ახალგაზრდები, რომლებიც მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ საკუთარ რეგიონს და ქვეყანას.

ქვეყანაში არსებული ნეპოტიზმი ხელს უშლის ახალგაზრდებს დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ხოლო ხელისუფლება ცდილობს საჯარო სამსახურში მხოლოდ ის ადამიანები მუშაობდნენ, რომლებიც პარტიულ ხაზს გაატარებენ. ამიტომ მნიშვნელოვანია მოხდეს ახალი სისხლის გადასხმა, რათა საჯარო სექტორში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იქნებიან ნაკლებად მოწყვლადი ჯგუფი სახელისუფლებო ძალების მიერ.

ეს ხედვა ასევე შეუწყობს ხელს რეგიონებში დაბრუნდნენ ახალგაზრდები, რადგან ნეპოტიზმის და ხელისუფლების მიერ შექმნილი გარემო ახალგაზრდებს იძულებულს ხდის დატოვონ რეგიონები, წავიდნენ ქვეყნიდან ან თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, რათა იპოვნონ სამსახური.

## ● **ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა**

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ემიგრაცია და მიგრაცია. რაიონები, სოფლები იცლება მოსახლეობისგან. ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეულობით ახალგაზრდა ოჯახი გავიდა ქვეყნიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პროცესის შესაჩერებლად სახელმწიფომ პოზიტიური როლი ითამაშოს. კონკრეტული მექანიზმებით ახალგაზრდა ოჯახებს ხელი შეუწყოს რაიონებსა და სოფლად დაბრუნებაში, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია ადგილობრივ ეკონომიკაში.

ჩვენ გვაქვს ხედვა ამ პრობლემის გადასაჭრელად „ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა.“

ყოველწლიურად 500 ახალგაზრდა ოჯახი, რომელიც გადანყვეტს საცხოვრებლად გადავიდეს რეგიონში და განავითაროს მცირე მეურნეობა და ბიზნესი სახელმწიფო ამ ოჯახებს გადასცემს სანყის თანხას, რათა შესაძლებლობა მიეცეთ ღირსეულ პირობებში დაინყონ ცხოვრება და საქმიანობა. წამახალისებელ თანხას მიიღებს ის ოჯახები, რომლებიც გარკვეული წლების განმავლობაში მუდმივად იცხოვრებს სოფელში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაფინანსებული ოჯახების მონიტორინგი.

ეს პროგრამა იქნება სტიმული, როგორც ახალგაზრდა ოჯახებისთვის, ასევე რაიონებისთვის, დაბებისა და სოფლებისთვის.

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ემიგრაცია და მიგრაცია. რაიონები, სოფლები იცლება მოსახლეობისგან. ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეულობით ახალგაზრდა ოჯახი გავიდა ქვეყნიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პროცესის შესაჩერებლად სახელმწიფომ პოზიტიური როლი ითამაშოს. კონკრეტული მექანიზმებით ახალგაზრდა ოჯახებს ხელი შეუწყოს რაიონებსა და სოფლად დაბრუნებაში, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია ადგილობრივ ეკონომიკაში.

ჩვენ გვაქვს ხედვა ამ პრობლემის გადასაჭრელად „ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა.“

ყოველწლიურად 500 ახალგაზრდა ოჯახი, რომელიც გადანყვეტს საცხოვრებლად გადავიდეს რეგიონში და განავითაროს მცირე მეურნეობა და ბიზნესი სახელმწიფო ამ ოჯახებს გადასცემს სანყის თანხას, რათა შესაძლებლობა მიეცეთ ღირსეულ პირობებში დაინყონ ცხოვრება და საქმიანობა. წამახალისებელ თანხას მიიღებს ის ოჯახები, რომლებიც გარკვეული წლების განმავლობაში მუდმივად იცხოვრებს სოფელში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაფინანსებული ოჯახების მონიტორინგი.

ეს პროგრამა იქნება სტიმული, როგორც ახალგაზრდა ოჯახებისთვის, ასევე რაიონებისთვის, დაბებისა და სოფლებისთვის.

## ნარკოპოლიტიკა

- უკომპრომისო ბრძოლა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორებთან და სააფთიაქო ნარკომანიასთან;
- პირველადი პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა; სპეციალურად გადამზადებული ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- დასჯის პოლიტიკიდან მზრუნველობა-პრევენციაზე გადასვლა. სახელმწიფო ბალანსზე არსებული ნარკოლოგიური სივრცეების EU სტანდარტებთან დაახლოება. ნარკოდამოკიდებული პირებისთვის

### ზღუნვაზე და პრევენციაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკა

- ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დეკრიმინალიზაცია
- ნარკოდამოკიდებულებებისთვის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრები
- დასჯიდან მზრუნველობა/პრევენციაზე გადასვლა
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია
- ნარკორეალიზატორებთან უკომპრომისო ბრძოლა
- სააფთიაქო ნარკომანიის აღმოფხვრა

## მიუსაფარი ცხოველები

### ახც ეხთი მიუსაფარი ცხოველი მზრუნველობის გახეშე

- ადამიანის და ცხოველის ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფა ქმედითი საკანონმდებლო და აღმასრულებელი მექანიზმების შუქმნით;
- პოპულაციის სისტემური მართვა-გამრავლების კონტროლითა და სტერილიზაციის თანამედროვე სახელმწიფო პროგრამებით;
- ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელების პრევენცია თანმიმდევრული მიდგომით.

2023 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივა „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“. კანონის გამკაცრებას ცხოველების მიმართ ძალადობაზე, მათ

უკონტროლო გამრავლებაზე და მოქალაქეების და ცხოველების უსაფრთხო თანაცხოვრების უზრუნველყოფაზე წლებია ითხოვს საზოგადოება და ცხოველთა უფლებადამცველები. ქვეყანაში არსებული უმძიმესი ფონის გათვალისწინებით, რაც მიუსაფარ ცხოველებს და ჩვენს მოქალაქეებს ყოველდღიურად უაღრესად მძიმე გარემოებებში ამყოფებს, ვთანხმდებით, რომ კანონი აუცილებლად მისაღებია, თუმცა არა იმ ფორმით და ყოვლად არაჰუმანური რეგულაციებით, რაც კანონის რამდენიმე მუხლშია განსაზღვრული. ცხოველების პოპულაციის მართვა მხოლოდ შეზღუდვებით, არაჰუმანური რეგულაციებით და მიუსაფარი ცხოველების სტიგმატიზირებით პრობლემას საშიშ მასშტაბებს შესძენს.

რაც აკლია ამ კანონს, ეს ჰუმანური ხედვებია, რომლებიც მოსახლეობის მხრიდან ცხოველების მიმართ ემპათიის ზრდას შეუწყობდა ხელს. თავშესაფრებიდან მიუსაფარი ცხოველების გაჩუქების პროგრამის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და მოსახლეობაში ამ საკითხის მიმართ ცნობიერების ამაღლება არის ის ქმედითი და აპრობირებული მეთოდები, სხვა მრავალ რეგულაციასთან ერთად, რაც ქვეყანაში ცხოველების და ადამიანების უსაფრთხო თანაარსებობას შეუწყობდა ხელს. ამ

კანონმდებლობის გამკაცრებას ცხოველების მიმართ ძალადობაზე, მათ უკონტროლო გამრავლებაზე და მოქალაქეების და ცხოველების უსაფრთხო თანაცხოვრების უზრუნველყოფაზე წლებია ითხოვს საზოგადოება და ცხოველთა უფლებადამცველები. უკანასკნელი წლების განმავლობაში ცხოველთა უფლებადამცველების, აქტივისტების და ცხოველთა მოყვარულების ძალისხმევამ მოქალაქეებში მიუსაფარი ცხოველების მიმართ ემპათია საგრძნობლად გაზარდა, მათი უფლებების დაცვის მნიშვნელობაში დაარწმუნა საზოგადოება. ახალი კანონმდებლობით კიდევ უფრო მეტად უნდა განმტკიცდეს ეს შედეგები და, ამავდროულად, აღმოიფხვრას ის პრობლემები, რომლებიც ამ ამოცანების შესრულებას საფრთხეს უქმნის. ცხოველების პოპულაციის მართვამ მხოლოდ შეზღუდვებით, არაჰუმანური და არაკვალიფიციური რეგულაციებით და მიუსაფარი ცხოველების სტიგმატიზირებით საკითხს შესაძლოა უაღრესად საშიში მასშტაბები შესძინოს.

ცხოველების უმნიშვნელოვანესი როლი და მნიშვნელობა მოქალაქეების რესოციალიზაციის პროცესში. Covid პანდემიამ მთელ მსოფლიოს აჩვენა თუ რა დიდი სოციალური ფუნქცია აქვთ ცხოველებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამული ხედვების უფრო მეტად წარმოჩენა და უწყებათაშორისი ღონისძიებების განხორციელების გარანტიების განსაზღვრა, დადებით როლს იქონიებდა საკითხის გარშემო არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

ახალი კანონმდებლობით, რომელიც სფეროს აქტიური ჩართულობით უნდა შემუშავდეს, უზრუნველყოფილი იყოს:

- ადამიანის და ცხოველების უფლებების დაცვა;
- მოქალაქეების და ცხოველების კეთილდღეობა და ჰარმონიული თანაარსებობა და კომუნიკაცია;
- კინოლოგიური, ფელინოლოგიური და ვეტერინარული დაწესებულებების უფლებების გათვალისწინება და მათი როლის გაზრდა ცხოველთა პოპულაციის მართვის პროცესში;
- მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირება და ცხოველების გაჩუქების ქმედითი პროგრამების შემუშავება.


## საგზაო უსაფრთხოება

2020 წლიდან 2023 წლამდე საქართველოში საგზაო შემთხვევების, გარდაცვალებისა და დაზარალებულების სტატისტიკა ცვალებადია.

2023 წელს დაღუპულთა რიცხვი წინა წელთან შედარებით 2.79 %-ით გაიზარდა დაზიანებები კი 2.76%-ით შემცირდა.

მძიმეა სტატისტიკა მიმდინარე წელსაც.

წლების განმავლობაში სტატისტიკის ცვალებადი დინამიკა იმის ინდიკატორია, რომ საგზაო უსაფრთხოების ასამაღლებლად ძალისხმევის გაძლიერებაა საჭირო, რათა ყოველწლიურად ლეტალობა და დაზიანებების რიცხვი მცირდებოდეს.



სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე საქართველოში დაახლოებით ორნახევარჯერ აღემატება ევროკავშირის ყველა ქვეყნის სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელს.

- საგზაო უსაფრთხოების მართვა
- საგზაო მოძრაობის მონაწილეების ქცევის გაუმჯობესება
- უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება
- სწრაფი და ეფექტური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა

საქართველოში საგზაო უსაფრთხოების მართვის ეფექტურობის გაზრდისა და 2022-2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა თუ სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური მართვის წამყვანი უწყების განსაზღვრა შესაბამისი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და საოპერაციო რესურსებით.

- საგზაო უსაფრთხოების მართვა
- დაფინანსების სტაბილური სისტემის ჩამოყალიბება
- სტატისტიკის ელექტრონული სისტემის დახვეწა
- უწყებებს შორის მჭიდრო კოორდინაცია
  
- საგზაო მონაწილეთა ქცევა
- პერმანენტული სოციალური კამპანია მძღოლებისთვის, ქვეითებისთვის, ველო/მოტო მომხმარებლებისთვის და სხვა;
- აღსრულების გაძლიერება სიჩქარის გადაჭარბებაზე, ალკოჰოლური თრობის ქვეშ ტრანსპორტის მართვაზე, მართვის დროს მობილურის გამოყენებაზე, უსაფრთხოების ღვედების გამოყენებაზე და ა.შ.;
- საკანონმდებლო ბაზის დახვეწა - ქულათა სისტემის ეფექტურობისთვის, უკანა სავარძელზე უსაფრთხოების ღვედების გამოყენება, საბავშვო სამგზავრო სავარძლები და სხვა;
- მართვის მონმობის ნაწილში სასწავლო პროგრამების შექმნა მძღოლობის კანდიდატებისთვის და ავტოსკოლების ლიცენზირება.
- უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა
- შავი წერტილების იდენტიფიცირება და მისი აღმოფხვრის სისტემის შექმნა
- უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინება გზების მშენებლობისას
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება
- ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის დახვეწა
- ტექ-ინსპექტირებაზე აღსრულების მექანიზმის გაუმჯობესება
- ავტოპარკის გაახალგაზრდავა
- ეკომეგობრული ტრანსპორტის წახალისება
- მძღოლებისთვის შრომის და დასვენების რეჟიმების, სახიფათო ტვირთების გადაზიდვის და სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობების გამოყენების რეგულირება
- სწრაფი და ეფექტური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის აღჭურვა
- პერსონალის გადამზადება
- დაზარალებულამდე მისვლის დროის შემცირება

„ძლიერი საქართველოს“ გუნდი განაგრძობს პროფესიულ ჯგუფებთან თემატურ შეხვედრებს და პროგრამის წარდგენას. საპროგრამო დოკუმენტი ღიაა თქვენი შენიშვნებისთვის, რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.



9

# ძლიერი საქართველო

ლელი, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის



ლელი  
საქართველოსთვის



ანა დოლიძე  
ხალხისთვის



ალაიკო ელისაშვილი  
მოქალაქეები



თავისუფლების  
მოედანი

**რეალური ალტერნატივა**